რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 9 აგვისტო 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: თვეურად 2 მან. 60 კაპ., თითო ნომერი 12 კაპ. კანტორა „განათლებიდან“ აგენტებს დაეთმობა 9 კაპ. და [illegible]. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი — 80 კაპ. მეოთხე გვერდზე — 15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება არა [illegible] 5 მანეთი [illegible] — 6 მანეთი. [illegible] წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] ხელმოწერილ [illegible] რედაქცია არ [illegible]

ფულის მოწერილობანი უნდა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вехохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 118 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 118

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ქუთაისის გუბერნიის კომიტეტი ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ კვირას, 30 ივლისს ნაშუადღევის 1 საათზე გარდაიცვალა

გიორგი ფილიპეს ძე ზდანოვიჩი

ამოსვენება დანიშნულია ქუთაისში, ოთხშაბათს, 9 აგვისტოს, დილის 10 საათზე საკუთარი ბინიდან.

გამოვიდა და იყიდება კანტორა „განათლება“-ს მიერ გამოცემული

ნოე რამიშვილის

ცნობილი წიგნი

ისტორიული მატერიალიზმი

ახლათ შესწორებული ავტორის მიერ. ფასი 1 მ. 50 კ.

იყიდება კანტორა „განათლება“-ში. აგენტებს დაეთმობათ 20%. ნისიათ არავის გაეგზავნება.

ქალაქის ვერის პარკში

კვირას, 13 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე

თბ. არსებულ რაჭა-ლეჩხუმის დემოკრ. ორგ. დამხმარე კომიტეტი მართავს

სეირნობა-კონცერტს.

მუსიკალურ განყოფილებაში შესრულებული იქნება სხვა და სხვა რევოლუციონური სიმღერები ქულაჯებში გამოწყობილ „თბ. ქართველ მომღერალთა გუნდის მიერ მიხეილ ქავთარაძის ლოტბარობით. აგრეთვე შესრულებული იქნება რაჭული ფერხული და რამდენიმე რაჭული სიმღერები.

ბაღში გაიმართება: ტომბოლა, ბუფეტი, ლატარია და სხვა გასართობები.

ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ზურნა. ◆ ბილეთების ფასი 1 მან.

ბილეთები იყიდება მე-3 შემ. გიმ. აშ. (ვერ. დაღმ.) საღ. 6—9 ს. კვირას ბაღში შესავალ კარებთან

სავაჭრო-სამრეწველოების მსახურთა კოოპერატივის გამგეობა

ამით აცხადებს კოოპერატივის წევრთა საყურადღებოთ, რომ ოთხშაბათს 9 აგვისტოს საღ. 7 საათ. კავშირის შენობაში (ალექსეევის ქ. № 7) შესდგება კოოპერატივის წევრთა

საერთო კრება

დღის წეს-რიგი: 1) გამგეობის მოხსენება და ანგარიში, 2) ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება, 3) გამგეობის ერთი წევრის არჩევა, 4) მიმდინარე საქმეები.

ეს კრება მეორეჯერ იწვევა, ამიტომ ის კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

გამგეობა.

თფილისის ქართული გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო

აცხადებს, რომ მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოს. ვაკანსიები არის მხოლოდ

პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში და გიმნაზიის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასებში. მსურველებს შეუძლიათ დანარჩენ კლასებში დაიჭირონ ეგზამენები, მხოლოდ ისინი ჩაირიცხებიან კანდიდატებად. თხოვნები მიიღება 23 აგვისტომდე.

ახალი საკრებულო

(ყოფილი ხარფუხის კლუბი) მიხეილის პროსპექტი № 131.

ოთხშაბათს, 9 აგვისტოს,

ქართული წარმოდგენა

ხვალ ხინემატოგრაფი   დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

საპეკო კომისია ყოფილი საპოლიციო კოოპერატივისა

ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ ხუთშაბათს, 10 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის შენობაში (ბელგიის ქუჩა, № 8), იწვევს წევრთა

საერთო კრებას,

რადგან კვირას, 6 აგვისტოს, წევრთა საჭირო რიცხვის დაუსწრებლობის გამო გადადებულ იქნა დღის წესრიგი: 1) კოოპერატივის რეორგანიზაცია; 2) წესდების დამტკიცება, 3) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

„საზოგადოება სიფხიზლის“ კომიტეტი სთხოვს ბ. ბ. წევრებს მობრძანდნენ

საზოგადო კრებაზე

ოთხშაბათს 9 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, რკინის გზის ახალ საავადმყოფოში. კრების მიზანია განიხილონ ნაძალადევში შენობის აშენების საკითხი.

ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის

სკოლაში მეცადინეობა დაიწყება 1 ენკენისთვიდან.

მოწაფეებს უკვე იღებენ. ასწავლიან ჭრა კერვას. კურსი ერთ-წლიანია და უფლებიანი. აქვეა „[illegible]“.

ვერის დაღმართი სახ. № 3. ბინა № 9, ეზოში.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

კიევის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზოვსკის ქუჩა, № 19.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, 1—2 და საღ. 5—6 ნაშ. ს-დის გუდოვიჩის ქ. № 41.

ქ. ქუთაისი.

ექიმი მ. ი. ჩანქელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კირიჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—32.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრალები რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 „
9. [illegible] წიგნაკი ქართულად	20 „
10. ოთხი ძმა ქართულად	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17. უწყება, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18. იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20 „
19. დროებითი წესები ქალაქის სახ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „
20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20 „
21. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს.	

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

ამხანაგებს ვაცხადებთ: პროვინციულ ორგანიზაციებს დაეთმობათ, რომლებიც 50 ცალს ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ნაღდით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინადაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организацій Р. С. Д. Р. П. Головинскій № 12.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტის სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9—2 ს., საღ. 5—9 საათ. ტელეფონი № 5—98.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

დროებითი მთავრობა და დამორჩილებული ერები.

რუსეთის რევოლუციამ ეროვნული საკითხის გადაჭრა დღიურ წესრიგში წამოაყენა. დამორჩილებული ერები თავისუფლებას ითხოვენ. აქ პირველ რიგში ფინლიანდია და უკრაინა უნდა დავასახელოთ. პირველი სრულ დამოუკიდებლობას ეტრფის, ხოლო უკრაინა ჯერ ჯერობით ფართო ავტონომიით კმაყოფილდება.

დროებითმა მთავრობამ დაითხოვა ფინლიანდიის სეიმი, რომელმაც დამოუკიდებლობის შესახებ დადგენილება გამოიტანა. სეიმი თავისი ნებით შეკრებას ცდილობს, მაგრამ მათ ლტოლვილებს წინ გადაჭრით ეღობება დროებითი მთავრობა, რომელიც მზათაა საჭიროებისას ფინლანდიელთა წინააღმდეგ ძალას მიმართოს. ჩვენ თავიდანვე ვიცავდით მოსაზრებას, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრა დამფუძნებელი კრების საქმეა. ფინლიანდიამ ამ შემთხვევაში ზურგი აქცია რუსეთის რევოლუციის ინტერესებს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მთავრობის რეპრესიული პოლიტიკა რევოლუციას კიდევ უფრო დაუძლურებს და მას დამორჩილებულ ერთა თანაგრძნობას მოაკლებს. ეს კიდევ უფრო გადაჭრით უნდა ვთქვათ უკრაინის საკითხის შესახებ.

დროებითი მთავრობა შეუთანხმდა უკრაინის ცენტრალურ რადას დროებითი მართვა-გამგეობის უკრაინაში მოწყობილების შესახებ. მთელმა რევოლუციონერმა რუსეთმა მიიწონა ეს შეთანხმება. ვინაიდან ეს საუკეთესო გზა იყო რევოლუციის განამტკიცებლად და ყველა პროგრესიულ ძალთა გაერთიანებლათ. მაგრამ გავიდა ხანი. 3—5 ივლისის ამბებმა [illegible] რევოლუციას. კონტრ-რევოლუციონერთა ამოძრავებას ფართო ასპარეზი გაეხსნა. დროებითი მთავრობაც ასეთ პირობებში უკან იხევს. უკრაინელები ცდილობენ ეროვნული მართვა-გამგეობის 12 გუბერნიაში დაწესებას, ხოლო დროებითი მთავრობა ეროვნულ ტერიტორიას 5 გუბერნიით საზღვრავს. უკრაინელები ითხოვენ ადგილობრივი საქმეების ადგილობრივადვე გადაჭრას, ხოლო დროებითი მთავრობა მათ პეტროგრადში განსაკუთრებულ კომისარს უნიშნავს, რომელიც ფაქტიურად უკრაინის ბატონ პატრონი უნდა შეიქნეს. მოკლეთ, წინანდელ შეთანხმების შეკვეცას ლამობენ.

განა საეჭვოა, რომ დროებითი მთავრობის პოლიტიკა უკრაინელთა უკმაყოფილებას გამოიწვევს და მათ შორის სეპარატიულ მიდრეკილებას გააღრმავებს? რუსეთში მრავალი ერი ბინადრობს. მათი ერთათ თავმოყრა და მთლიანი რევოლუციონური ლაშქრის შედგენა შეიძლება მხოლოდ მათი ეროვნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით. ეს დამფუძნებელი კრების საქმეა. მაგრამ რაკი დროებითი მთავრობა მეორე გზას დაადგა და ახლავე შეუდგა ზოგიერთ ერებთან შეთანხმებას, დაპირებათა უკან წაღება და დათმობათა შეკვეცა ეროვნული ურთიერთობის გამწვავების ხელის შეწყობა იქნება.

ჩვენ რევოლუციის წაფორთხილების ხანაში ვცხოვრობთ. სწორეთ ამჟამად კონტრ-რევოლუციონერები ირაზმებიან და თავის ძალთა მობილიზაციას ახდენენ. მათ უფრო საჭიროა მთლიანი რევოლუციონური ფრონტის გამაგრება. ამ მხრივ დამორჩილებულ ერებთან შეთანხმებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ეს განამტკიცებს რევოლუციონურ სულის კვეთებს დამორჩილებულ ერთა შორის და მათ აიძულებს რევოლუციის განმტკიცებას ყოველი ძალ ღონით ხელი შეუწყონ. ხოლო საკმარისია დამორჩილებულ ერთა უფლებათა ფეხქვეშ გათელვა, რომ ისინი რევოლუციას ზურგს შეაქცევენ და მის დაუძლურებას ნებით თუ უნებლიეთ დაეხმარებიან.

რევოლუცია საფრთხეშია. ამიტომაც დროებითი მთავრობა ვალდებულია უკრაინის საკითხს ფრთხილად მოეპყრას და უკრაინელებთან მორიგებას ყოველი ძალ ღონით ეცადოს.

სკოლა და ეკლესია.

რუსეთის დიდმა რევოლუციამ ეკონომიური, პოლიტიკური და გონებრივი ბორკილები დაამსხვრია. მოსპო საუკუნოებით შემუშავებული აბსოლუტიური სისტემა; ეკონომიურ ბრძოლის ნიადაგზე გაყვლეფილ და გაღატაკებულ კლასს ფართო ბრძოლის საშუალება მისცა და თავის ინტერესებს დროისა და გარემოების მიხედვით იცავს; გარდა ამისა გონებრივ განვითარების გზაზე მან დიდი ნაბიჯი გადადგა, სულიერ აღზრდა-დამწიფებას რკინის სალტეები შემოხსნა.

პოლიტიკურმა თავისუფლებამ პროლეტარიატს და მასთან ერთად ფართო დემოკრატიას კულტურული ბრძოლის საშუალება მიანიჭა და კლასობრივი ბრძოლის მეოხებით ხალხის გონება სულიერ მონობიდან განთავისუფლა; ადამიანის აზროვნებას ბორკილები მოხსნა, სულიერ ზრდის დამხშველი პირობები გააუქმა და ხალხის თავისუფალ განვითარებას უძლიერესი მტერი მოაშორა.

ასეთ მტრათ კაცობრიობის აზროვნებას მთელი საუკუნოების განმავლობაში ეკლესია, ქრისტიანული სარწმუნოება მიევლინა და მის ინკვიზიციის ბრჭყალებში ადამიანის თავისუფალი აზროვნება იხრჩობოდა. რუსეთის რევოლუცია, როგორც სხვა რევოლუციები ზევით დასახელებულ, ე. ი. ეკლესიის, თეოლოგიურ სარწმუნოების წინააღმდეგ ამხედრდა და ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფა მოითხოვა და სარწმუნოება კერძო სინდისის საქმეთ გამოაცხადა.

ხალხის ძლიერი ხმა მთელ სახელმწიფოს მცხოვრებთ მოეფინა და ამ ნიადაგზე დროებითმა მთავრობამ გაბედული ნაბიჯი გადადგა.

უკანასკნელ დეპეშათა ცნობით სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტმა სამღვთო სჯულის მასწავლებელთა აზრი მოისმინა—სამღვთო სჯულის სკოლებში სწავლების შესახებ და ერთხმათ დაადგინა: სამღვთო სჯული საშუალო და დაბალ სასწავლებლებში არა სავალდებულო საგნათ იქნას აღიარებული.

ეჭვს გარეშეა დროებითი მთავრობა ამის შესახებ დეკლარაცს გამოსცემს და სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებას დაამტკიცებს.

კულტურულ ბრძოლის ნიადაგზე გოლიათური ნაბიჯის გადადგმა. ამიერიდან მოზარდ თაობის ნორჩი გონება ეკლესიის გონებას დამაბნელებელი სწავლა-დოგმებიდან განთავისუფლდა და საეკლესიო სისტემას, დოგმების შენობას საძირკველი გამოეცალა და რაციონალურ, საბუნების-მეტყველო და საზოგადოთ მატერიალისტურ სწავლა-განათლებას მეტაფიზიკური და თეოლოგიური სალტეები მოეხსნება.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანულმა სარწმუნოებამ პირველ ყოფილი კომუნისტური და პროლეტარული მოძღვრების ხასიათი დაჰკარგა და იგი გაბატონებულ კლასების სარწმუნოებათ გადაიქცა, იგი სახელმწიფოს ხელში მოყოლებული პირველ საუკუნიდან მძლავრ იარაღათ გადაიქცა და ამ იარაღის მეოხებით თითეული ქრისტიანული სახელმწიფო ხალხის გონებას მონათ იხდიდა, მთელ აზროვნებას ბურუსში ახვევდა და ფართო დემოკრატიაში ბრმა მონობის გრძნობას ანვითარებდა. ამ მხრივ სარწმუნოება თითქმის უძლიერესი ბატონობის იარაღათ გადაიქცა, ვიდრე მილიტარიზმი, ადმინისტრაცია და ბიუროკრატია.

სარწმუნოება ანუ ეკლესია სახელმწიფოებისათვის მოზარდ და საზოგადოთ მთელი ხალხის სწავლა განათლებისა და აღმზრდელობის ინსტიტუტათ გადაიქცა და მთელი საუკუნოების განმავლობაში მასის გონებითი ზრდა ხელში ჩაიგდო.

მეცამეტე საუკუნიდან მისი ავტორიტეტი უკვე ძლევა მოსილების ორგანოთ გადაიქცა და მან ამის გულისათვის შექმნა და შეიმუშავა დოგმატიური სწავლა და ხალხის ინტელექტუალურ ზრდას მუხრუჭები მოუჭირა.

ეკლესიამ უპირველეს ყოვლისა ხალხის რწმენა სწავლის საგნათ გახადა და დოგმების მეოხებით თავისუფალი აზროვნება დაჰკარგა. სხვა გარეშე ამისა მან ამაოებათ გამოაცხადა.

თვით თანამედროვე ცხოვრების განვითარების ხანაში, როცა საწარმოვო ტექნიკის განვითარება პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობა და საზოგადოთ ბუნების შესწავლა ადამიანიდან ცოდნას, კვლევა-ძიებას მოითხოვდა და ამ ცოდნის მსაჯულათ გონებას აყენებდა ეკლესია—ზე-ბუნებაზე, ღმერთზე მსჯელობდა, განყენებით არა არსებულ ძალას [illegible]. მისი იდეალის მიხედვით ადამიანი დედამიწას მოწყვიტა, მას თვით მიზანი წაართვა, იგი სხეულის ტყვედ გამოაცხადა და ამ ტყვეობიდან განთავისუფლებას სამარადისო სიცოცხლის ცხოვრებისათვის მოითხოვდა. სხვა მას საზრუნველი [illegible] და ადამიანის გონებას რაციონალურ აზროვნებას აშორებდა.

გარდა ამისა საეკლესიო დოგმებმა სარწმუნოება, როგორც მისი ძლიერი ამბობს ქრისტიანული შეზღუდვება ნაციონალური სარწმუნოებით გამოაცხადა. თვითეული ქრის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე, ბრძოლა ამ ჟამათ მტერმა ჩრდილოეთ ფრონტზე დაიწყო. რიგა მიტავის გზატკეცილთან მან რუსის სანგრებს ზარბაზნის ყუმბარები დაუშინა.

რუმინიის ფრონტზე მდგომარეობა კრიტიკულია. ავსტრია-გერმანიის ჯარი ოკნა-ფოკშანის ფრონტზე მედგრათ უტევს და წინ მოიწევს. მტერმა მდ. სლონიკას რაიონში იერიშები მიიტანა და რუმინიის ჯარს ოკნას განპირა ადგილებისაკენ დაახევია. ოკნას ბედი უკვე გადაწყვეტილია. მტრის ჯარი ფოკშანის მიმართულებითაც წინ მოიწევს და რუმინიის ჯარს სოფ. მერეშესჩის მიდამოებისაკენ დაახევია.

კავკასიის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. მტერი ხარპუტის მიმართულებით უტევს, მაგრამ უშედეგოთ. სამაგიეროთ რუსის ჯარი პალმირას სამხრეთით წინ მოიწევს და ოსმალეთის რამდენიმე სოფელი დაიკავა.

საფრანგეთის ფრონტზე ძლიერი შეტევის შემდეგ საფრანგეთ ინგლისის ჯარმა იპრის რაიონში ბრძოლა გაანელა. ეტყობა დაკავებულ ადგილებს ამაგრებს, ძალებს იკრებს და შემდეგ მტერს მედგრათ შეუტევს. იპრის რაიონში ინგლისის ჯარმა წინ წაიწია.

ტიანული სახელმწიფოები ეკლესიას შინაურ ხალხის დასამორჩილებლათ და გარეშე მტრის დასაძლევათ იყენებდა.

ასეთ სწავლას, ასეთ გონებით დამხშობ „მოძღვრებას“ თვით რაციონალიზმა, მატერიალიზმა და ჰუმანიზმაც კი ვერაფერი დააკლო და ფართო მასის გონება ეკლესიის დოგმებიდან ვერ გაანთავისუფლა. დასახელებულ რაციონალურმა სწავლამ ინტელიგენტურ წრეებში მოიკიდა ფეხი და ფართო მასა კვლავ სარწმუნოების მონათ რჩებოდა.

მხოლოდ თანამედროვე პროლეტარიატის წარმოშობამ, თანამედროვე მუშათა კლასის წარმოშობამ ეკლესიის ბატონობას ბოლო მოუღო და მისი ფართო დემოკრატიულ ავტორიტეტს ლახვარი ჩასცა. მხოლოდ პროლეტარიატია ერთად ერთი კლასი, რომელიც თავისი კლასობრივი მდგომარეობით რაციონალისტია, იგი ბუნებით ატეისტია და სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა მის მუცილებელ საგანს შეადგენს. ბებელმა სთქვა: ჩვენს პროგრამაშია ნათქვამი: სარწმუნოება კერძო საქმეა, მხოლოდ მე ვიტყვი—ატეისტობა კი პარტიის საქმეაო.

ერთად ერთი მუშათა კლასია, რომელიც მთელი თავის პოლიტიკით სარწმუნოების, ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფას მოითხოვს და ღმერთების დამსხვრევას ეწრაფის. მას ბურჟუაზიულ კლასებსავით ჩვეულებათ არ აქვს დღეში რამდენიმე ღმერთი გამოცვალოს და როგორც საჭირო იქნება ისეთი ღვთაება წამოასკუპოს.

პროლეტარიატი მას ებრძვის როგორც მეტაფიზიკურ და თეოლოგიურ მსოფლ-მხედველობას და მის წინააღმდეგ თავის მეცნიერულ სოციალიზმის შეხედულებას უპირდაპირებს, ამ ნიადაგზე იგი მუდამ იბრძვის და დროს და გარემოების მიხედვით ქრისტიანულ სარწმუნოებას ნიადაგს აცლის. 1871 წ. საფრანგეთში კომუნისტებმა განსაკუთრებული დეკრეტი გამოსცეს და ეკლესია სახელმწიფოდან გამოყვეს.

ამ ჟამათ რუსეთის დიდმა რევოლუციამ კულტურულ ბრძოლის ნიადაგზე დიდი ნაბიჯი გადადგა და სამღვთო სჯულის სწავლება ფაკულტატიურათ—არა სავალდებულოთ გამოაცხადა. ქრისტიანულ სარწმუნოების ასეთი დამარცხება პროლეტარიატის გონებრივ განვითარების გზაზე დიდი გამარჯვებაა.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაცია.

7 აგვისტოს, თფილისის საბჭოს სხდომაზე ევგენი გეგეჭკორმა საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით შემდეგი დეკლარაცია წაიკითხა:

„რუსეთის დემოკრატიის მიზანია ამ ძლიერი რევოლუციონური მსვლელობის დროს სახელმწიფო დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება. დასავლეთი ევროპის ისტორია ჩვენ გვასწავლის, რომ მხოლოდ იმ ქვეყნებში გამოიჩინეს სიმკვიდრე და ცხოველმყოფელობა დემოკრატიულ წყობილებას, სადაც ის ემყარებოდა ადგილობრივ ქალაქის და ერობათა თვითმართველობებს.

დღევანდელი მომენტი ადგილობრივ თვითმართველობებს განსაკუთრებულ საპასუხისმგებლო მიზნებს უყენებს წინ. დემოკრატიული წესწყობილების წინააღმდეგ, რომელიც თანდათან მკვიდრდება, ბრძოლას აწარმოებენ მისი მტრები. ამ ბრძოლის დროს ადგილობრივი თვითმართველობები იმ ცენტრებად უნდა გახდენ, რომლებიც გარშემო შემოიკრებენ ყველა ადგილობრივ ცოცხალ ძალებს. ბრძოლის პირველ საშვალებათ უნდა გახდეს თავგამოდებითი მუშაობა, რომლის მიზანი იქნება მცხოვრებთა მრავალმხრივი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაიც დღემდე უყურადღებოდ იყო მიტოვებული თვითმართველობის უკონტროლობისა და ომის გამო. ჩვენ ღრმა რწმენით ამის შესრულება შეუძლია ადგილობრივ თვითმართველობას [illegible] და მიზანშეწონილი მუშაობის მეოხებით. მიუხედავათ მრავალგვარი დაბრკოლებებისა მცხოვრებთა აუცილებელი მოთხოვნათა რამდენიმეთ დაკმაყოფილება დემოკრატიისადმი სიმპატიას გამოიწვევს ხალხის ფართო მასსაში, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო დემოკრატიული წყობილების დამკვიდრებას.

გადავდივართ რა მუნიციპალური მოღვაწეობის პრაქტიკულ გეგმაზე, შევჩერდებით უფრო საყურადღებო მომენტებზე:

ფინანსიური პოლიტიკის სფეროში ფრაქცია მიზნად ისახავს გადასახადის ისეთ სისტემის შემოღებას, რომ გადასახადის მთელი სიმძიმე ქალაქის მდიდარ მცხოვრებთ დაეკისროს.

ამ მიზნის მისაღწევათ ფრაქცია შეეცდება არა პირდაპირი გადასახადების მოსპობას და პირდაპირი გადასახადების შემოღებას (მუნიციპალური პროგრესიული შემოსავლის ქვალობის გადასახადი), ისეთ ქონებებზე გადასახადის დაწესებას, რომელიც ერთი პირიდან მეორეზე გადადის მემკვიდრეობით ან სხვა გვარი გამოუსყიდავი საშვალებით, ფუფუნების საგნებზე გადასახადის შეწერა, უძრავ ქონებებზე დაუმსახურებელი ღირებულების ზრდის გადასახადის დაწესება და სხ. ასეთია ფრაქციის მიზანი, რომლის განსახორციელებლათაც ახლო მომავალში შესაფერ ნაბიჯებსაც გადასდგამს და მოითხოვს დაუყოვნებლივ უძრავ ქონებათა ხელ ახლა შეფასებას.

ეკონომიურ სფეროში ფრაქცია შეეცდება ისეთ წარმოებათა მუნიციპალიზაციას, რომელთა მუშაობა მიმართული იქნება მცხოვრებთა უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, ასეთია: პური, გათბობა განათება, ქალაქში მიმოსვლა და სხ. ამასთან ერთად, ქალაქი ისეთ წარმოებათა მოწყობასაც მოჰკიდებს ხელს, რომლებსაც სხვადასხვა მოსაზრებით წარმოებათა პატრონები შეაჩერებენ ან სრულიად დახურავენ.

სახალხო განათლების საქმეში ფრაქციას მიზნათ აქვს დასახული საყოველთაო უფასო განათლება 16 წლის ჰასაკამდე. სკოლაში სწავლება უნდა სწარმოებდეს დედაენაზე. ამასთან ერთად, ზომები იქნება მიღებული სახალხო სახლების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების, საკვირაო ზკოლების და სხვა კულტურულ-გამანათლებელი ხასიათის საზოგადოებათა დასაარსებლათ

ხელმოკლე მცხოვრებთათვის უფასო საექიმო დახმარებას ფრაქცია მიზნათ ისახავს როგორც საზოგადოებრივი ჰიგიენის ერთ მთავარ კითხვას.

ბინის საკითხის შესახებ, რომელმაც ასე მწვავე ხასიათი მიიღო ამ ჟამათ, ფრაქცია მიზნათ ისახავს სახლის პატრონებთან ბრძოლას, რათა ისინი ბინის დამქირავებელთა ექსპლუატაციას არ ეწეოდენ. ფრაქცია ყურადღებას მიაქცევს ბინების უფრო სამართლიანათ განაწილებას და ნიხრის დაწესებას.

მუშათა საკითხის სფეროში იმას გარდა, რომ ქალაქის ყველა საწარმოვო დაწესებულებებში შემოღებული იქნება 8 საათის სამუშაო დრო, დაწესებული იქნება ხელფასის მინიმუმი, აკრძალული იქნება ბავშთა შრომა 16 წლის ჰასაკამდე,—ფრაქცია დაუყოვნებლივ შეეცდება შრომის ბირჟების და შემრიგებელი კამერების, და შრომის მუნიციპალური ინსპექციის შექმნას, აგრეთვე მუშების უმუშევრობისაგან, ავათმყოფობისა, უბედურ შემთხვევათა და შრომის უნარის დაკარგვისაგან დაზღვევას.

ყველა საკითხებისაგან, რომლებიც ქალაქის თვითმართველობას წინ უდგას, ორი საკითხია მეტათ მნიშვნელოვანი: სასურსათო და ჯარის დაშლა ომის შემდეგ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა ნაირ სასურსათო კრიზისს განვიცდით ამ ჟამათ. ამასთან ერთათ, აშკარაა ყველასათვის, თუ რა ნაირათ მჭიდროთ დაკავშირებულია ამ საკითხთან დემოკრატიის ყოველივე მოპოვებანი. შეიძლება, ითქვას, რომ სასურსათო საკითხი რუსეთის რევოლუციის ერთი წყეული საკითხთაგანია, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტაზეა დამოკიდებული რევოლუციის ბედი.

ფრაქცია მთელ თავის ძალ-ღონეს მოახმარს ჩვენს ქალაქში სასურსათო საკითხის მოგვარებას. ეს მით უმეტეს აუცილებელია, თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თფილისი არა ერთხელ ახმარებია სურსათის მოწოდების საქმეში ამიერ კავკასიის სხვადასხვა ადგილებს, რომლებიც ხშირათ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდენ.

დაბოლოს—საჭიროა გავითვალისწინოთ ის საკითხიც თუ როგორ უნდა შევხვდეთ ომის შემდეგ ჯარის დაშლას,—ამის შესახებ გეგმის თავის დროზე გამომუშავება ერთ მთავარ საკითხს შეადგენს. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა არევ-დარევას იწვევდა ქალაქის ცხოვრებაში ჯარისკაცების მოკლე ვადით სახლში დასასვენებლათ გაშვებაც კი.

ომის დამთავრების შემდეგ ჯარების დაშლით არევ-დარევა ყველაზე მეტად თავს დაატყდება თფილისს, როგორც გზა ჯვარედინზე მდებარე პუნქტს, სადაც ჯარები თავს მოიყრიან კავკასიის ფრონტის სხვადასხვა ნაწილებიდან. თუ მოსალოდნელი არევ-დარევის სრულიად თავიდან აცილებას ვერ შევსძლებთ, შემსუბუქება მაინც უნდა მოვახერხოთ. ამიტომ საჭიროა წინდაწინ ენერგიული ზომების მიღება—ბინების, სასურსათო მასალის დამზადებით და სხ. ამ სახით საჭიროა ჯარის დაშლასთან ერთად გამოწვეულ უმუშევრობასთან ბრძოლაც.

რომ რამდენიმე მაინც დააკმაყოფილოს ქალაქის თვითმართველობამ ზემო მოყვანილი მოთხოვნანი, საჭიროა მას დაეხმაროს ამ საქმეში მცხოვრებთა ფართო წრეები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლებს ქალაქი იმ გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნას, რომელშიაც ის ჩაყენებული იქნება დაშლილი ჯარების აურებელ ჯარის კაცთა ქალაქში მოსვლებით და გაგზავნით.

გამოვთქვამთ-რა ჩვენი განზრახვანი დემოკრატიული წყობის დამკვიდრების და ქალაქის მოწყობის შესახებ, ჩვენ ამავე დროს არ შეგვიძლია არ შევეხოთ იმ პირობებსაც, რომელშიაც მოგვიხდება მუშაობა. ჩვენი ცხოვრების საერთო მსვლელობა მთელ რიგ დაბრკოლებათა ჰქმნის იმათთვის, რომელნიც პრაქტიკული მოღვაწეობის ასპარეზზე სამოღვაწეოთ გამოდიან.

რუსეთის ფინანსები საშინლად არეულ-დარეულია. ადგილობრივი ფინანსებიც ნელის, მაგრამ შეუჩერებლის ნაბიჯებით ამ გზით მიდიან. ქალაქის კასები თანდათან ცარიელდებიან; ის საშვალებებიც-კი, რომლებიც ამ კასების გასავსებათ ჩვეულებრივ დროს საკმარისი იყო, ამ ხანად არ შეგვიძლია სავსებით გამოვიყენოთ. ქალაქების მიერ სესხის აღებას ხელს უშლიან უფრო დიდი ხასიათის სახელმწიფო სესხები. ჩვენი ფულის ბაზარი ქაღალდის ფულითაა სავსე.

ასე რომ, ქალაქის ახალი წარმოების შესაქმნელად ან ძველის გასაუმჯობესებლად საშვალება არ მოგვეპოვება. ამას გარდა, ეს სამი წელია აუცილებელი მასალები ჩვენ არ გვყოფნის. ყველაფერი ომს შეეწირა. აუცილებელ საჭიროების საგნებზე წარმოუდგენელი ფასებია. ბევრი მასალის შოვნა არც კი შეიძლება. კერძოთ ქალაქები ვერ შოულობენ ისეთ მასალებს, რომლებიც საჭირონი არიან ტრამვაის, წყლის-სადენის, განათებისა და სხ. შესახებ. საზღვარგარეთიდგან რაიმე მასალის შემოტანა გაძნელებულია. საგარეო ტრანსპორტი შეზღუდულია სამხედრო ოპერაციების მეოხებით, საშინაო,—მეტისმეტი მუშაობით, რასაც ის ეწეოდა და ეწევა—დაზიანებულია. მუშათა ხელის ნაკლებობაა. ომმა და ომის საჭიროებისათვის სამუშაომ ბევრი ძალა მიიზიდა, რომელიც მშვიდობიან დროს სხვადასხვა წარმოებებში იყო დაბანდებული. ამას გარდა, მსხვილი ბურჟუაზია—როგორც საწარმოვო, ისე ფინანსიური, ერთნაირ საბოტაჟს მიმართავს და ხელს უშლის დემოკრატიის მუშაობას, რათა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება მოწესრიგებული იქნას. ყველა ეს სიძნელენი ისეთ მდგომარეობას ჰქმნიან, რომლის გადაჭრა მოგვარება არ შეუძლია არც კერძო პირთ, არც კერძო პარტიებს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ იმ სამეურნეო, ეკონომიური, არევ-დარევის მოსპობა, რომელიც ამ საშინელმა ომმა შექმნა, შეგვიძლია მხოლოდ ომის გათავების შემდეგ. როდესაც ევროპის დემოკრატიის ძალდატანებით ყველა მეომარი ქვეყნების ერები შეკრავენ ისეთ ზავს, რომლის ლოზუნგი რუსეთის დემოკრატიის საბჭომ წამოაყენა, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ყველა იმ წყლულების განკურნება, რომლებიც ხალხმა მიიღო ძველი რეჟიმისა და ომის დროს. ამჟამად მთელი ცხოვრების მოწესრიგება ხალხმა უნდა აიღოს თავის ხელში, უმთავრესად კი—დემოკრატიამ, მხოლოდ დემოკრატიაშია შემონახული ენერგიის დაუშრეტელი წყარო, მხოლოდ ის არის მოწოდებული მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმაროს ახლანდელი და მომავალი თაობათა კეთილ-დღეობას.

ამიტომ მთელი ჩვენი მუშაობა იქითკენ იქნება მიმართული, რათა ქალაქის საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში გაერთიანებულ იქნას დემოკრატიის ყველა ძალები. დემოკრატიის მოწინავე რაზმა, რომელიც დემოკრატიის ნდობითაა აღჭურვილი, უპირველეს საქმეთ, მიზნათ უნდა დაისახოს და მთელი თავისი ძალა იხმაროს საბჭოში შეთანხმებული და ნაყოფიერი მუშაობის საწარმოებლათ. ჩვენ მხარდამხარ ვივლით ყველა იმათთან ერთად, რომელთაც მიზნათ აქვთ დასახული დემოკრატიული იდეალების განხორციელება ერთა უფლების დაცვის საფუძველზე. ამასთანავე ფრაქცია ყოველივე ძალ-ღონით შეებრძოლება იმ პირთ, რომელნიც შეეცდებიან ეროვნულ შუღლის ჩამოგდებას. ასეთ შემთხვევებში ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატია, ყველა ქვეყნის პროლეტართა პარტია, ყოველგვარ ხელოვნურათ შექმნილ ნაციონალურ საზღვრებს გადალახავს, რომლებიც ხელს უშლიან სხვადასხვა ერთა თვით-გამორკვევის და თანამშრომლობის საქმეთ.

მეორეს მხრით, ჩვენ ერთი წამითაც არ ვივიწყებთ, რომ მთელი ჩვენი ძალა ჩვენს ამომრჩეველთა მჭიდრო კავშირშია. უნდა დაჭერილ იქნას მჭიდრო კავშირი ქალაქის დემოკრატიასთან, უნდა დავემორჩილოთ მის კონტროლს, უნდა გაგებულ იქნას მთელი მისი საჭიროებანი, სულ უბრალოც კი, ასეთ დამოკიდებულებაში ყოფნა დემოკრატიასთან ჩვენ საშვალებას მოგვცემს გავიგოთ, თუ რანაირათ უნდა ვაწარმოვოთ ჩვენი მუშაობა. აი ჩვენი მუდმივი ტაქტიკა და მუშაობის წესრიგი.

უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძნობით ჩვენ ხელს ვკიდებთ ქალაქის საქმეების წარმოებას და ჩვენს მთელს იმედებს ვამყარებთ მხოლოდ დემოკრატიის ცხოველმყოფელ ძალებზე, მისი მხრით დაუღალავ მხარის დაჭერა-დახმარებაზე.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 7—8 აგვისტო).

რუმინელები ადესაში.

ადესა. გუშინ აკუთრებული მატარებლით მოვიდნენ რუმინიის გამოჩენილი მოღვაწენი ოჯახობით პარლამენტის წევრები, სენატორები და მოხელენი. ნაწილი მიემგზავრება ხერსონში. კერძო ცნობების მიხედვით—ადესაში ამ დღეებში ჩამოვა დიდ სახელმწიფოთა ელჩი.

მოსკოვის თათბირი.

პეტროგრადი. რკინის გზის სამმართველოებს წინადადება მიეცა რიგ გარეშე მისცენ ბილეთები მოსკოვის თათბირის წევრებს, რომლებიც-კი წარადგენენ შესაფერ მოწმობას. სახელმწიფო ყველა დუმის წევრებისათვის ასეთი მოწმობები საჭირო არ არის.

ფინლიანდიის ამბები.

ჰელსინგფორსი. საოლქო აღმასრულებელ კომიტეტების სხდომაზე გენერალ გუბერნატორმა ფინლიანდიის საქმეების მოხსენება გააკეთა. სტახოვიჩის აზრით, სეიმის მუშაობის განახლება არ შეიძლება. სეიმის შეკრების ნებართვა—დრ. მთავრობის სურვილის წინააღმდეგი იქნება. სენატს უფლება აქვს ნებართვა გამოითხოვოს, მაგრამ მას ეს არ უქნია. ფინლიანდიელები რუსეთის წინააღმდეგ სიძულვილს დემონსტრატიულათ აცხადებენ, მაგრამ რუსეთი არც ისე სუსტია, როგორც ფიქრობენ. მე მჯერა, რომ რევოლუციონური მთავრობა გამონახავს საშვალებას დაიცვას რუსეთის ინტერესებიო,—სთქვა სტახოვიჩმა. გენერალ-გუბერნატორმა სთქვა, რომ ფინლიანდიელები ახალ-ახალ მოთხოვნილებებს აყენებენ — თხოულობენ ჯარის გაყვანას, დაკეტის რუსული სკოლები და სხვა. კამათის შემდეგ კრებამ მიიღო 21 ივლისის რეზოლუცია, რომელიც ამბობს, რომ დრ. მთავრობის ბრძანება სისრულეში უნდა მოვიყვანოთო.

ჰელსინგფორსის დეპუტატების საბჭოებმა მიმართეს ჯარისკაცებს, მუშებს, მატროსებს, რომელთაც სთხოვენ უმიზეზოთ არ გამოვიდნენ ქუჩებში და ამით რევოლუციას და თავისუფლებას ზიანი არ მიაყენონ. არც ერთი წვეთი სისხლი არ უნდა დაიღვაროს პროვოკატორების გასახარებლათო, ნათქვამია მოწოდებაში.

წერეთლის სიტყვა.

პეტროგრადი. 5 აგვისტო. ცენტრალურ კომიტეტის სხდომაზე—მინისტრის სიტყვების შემდეგ გამოვიდა წერეთელი: ივლისის ამბებმა—ამბობს ორატორი, დაასუსტა რევოლუციის ძალები. უპასუხისმგებლო ელემენტები მარჯვნივ და მარცხნივ სარგებლობენ ამით და ცდილობენ გაამწვავონ კონფლიქტი და გამოიწვიონ ახალი კრიზისი, მაგრამ ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ მძიმე მდგომარეობას. მთავრობის მიზანია რევოლუციის შენახვა. მთავრობის მხრის დაჭერა ნამდვილათ უნდა იყოს და არა ფიქცია. ს. დ. მენშევიკების და ს. რ. სახელით წერეთელი რეზოლუციას ადგენს. რეზოლ. წერეთელი ამბობს, რომ მთავრობა შეძლებს რევოლუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცებას და სახელმწიფოს თავდაცვის საქმეს მოაწყობსო. ყველა ჩვენი ძალები უნდა მოვიკრიბოთ იმიტომ, რომ შევაჩეროთ მცარცველთა ურდოების შემოსევა.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.).

პეტროგრადი. 7 აგვისტო. რიგის მიმართულებით, რიგა-მიტავის გზატკეცილის მახლობლათ გერმანელებმა საარტილერიო სროლა განაცხოველეს. დანარჩენ ფრონტზე დრო-გამოშვებითი სროლა და ჰაეროპლანები იბრძვიან.

რუმინიის ფრონტზე, ოკნა-სნეჩის მიმართულებით მტერს გაფთრებული იერიშები მოაქვს. მდ. სლონიკას რაიონში მტერმა გაფთრებული იერიშები მოიტანა, რუმინიის სანგრების ერთი ნაწილი დაიკავა და რუმინიის ჯარმა ოკნას განაპირა ადგილებისაკენ დაახევია. დილიდან მოყოლებული ავსტრია გერმანიის ჯარმა გროზესჩის ადგილებში დაჟინებითი იერიშების მოტანა დაიწყო და ადგილები დაიკავა, ბრძოლა გრძელდება. ფოკშანის მიმართულებით, ფოკშან-აჯუდის რკინის გზასთან მტერმა იერიშები მოიტანა და ჩვენი სანგრების პირველი წყება დაიკავა. მაგრამ მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დაკარგული სანგრები კვლავ უკან დავიბრუნეთ. სამაგიეროთ მტერმა დასახელებულ რაიონის აღმოსავლეთის მხრიდან იერიშები მოიტანა და რუმინიის ჯარს სოფ. მერეშესჩისაკენ დაახევია. დანარჩენ ფრონტზე დრო გამოშვებითი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე ხარპუტის მიმართულებით კერდაჟდაგის მთაზე ოსმალეთის ჯარმა იერიშები მოიტანა და ჩვენი სანგრების ერთი ნაწილი დაიკავეს. მაგრამ კონტრ-იერიშების მეოხებით დაკარგული ადგილები უკანვე დავიბრუნეთ. პალმირას სამხრეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და მტრის რამდენიმე სოფელი დაიკავა. პენჯვინის მიმართულებით ჩვენი ჯარი ზერიმარის ტბას მიუახლოვდა.

ლონდონი. 7 აგვისტო. იპრ-პელკაპელის რაიონში 450 მეტრით წინ წავიწიეთ. აქ მრავალი ტყვეები წამოვიყვანეთ. 3 აგვისტოდან საფრანგეთ-ინგლისის ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 2114 ჯარისკაცი, ამათ შორის 55 აფიცერი.

დეპეშები.

ქუთაისი. საქალაქო არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. აირჩიეს: სოციალ-დემოკრატი—39, სოციალისტ რევოლუციონერი—13, ფედერალისტი 9, ნაციონალ-დემოკრატი—3, პროგრესისტი—1.

გიორგაძე.

—

თელავი. საქალაქო არჩევნები დამთავრდა. აირჩიეს: სოც.-დემოკრ.—16, დაშნაკელი—6, ფედერალისტი—3, ნაციონალ-დემოკრატი—3.

კომიტეტი.

—

ზუგდიდი. წამოვიდა ზუგდიდის დეპუტაცია, რომ იშუამდგომლოს შავი ზღვის პირის რკინის გზის სადგურის ქალაქზე დახლოვების შესახებ. ამას მოითხოვს მთელი მაზრის ინტერესი და ამიტომ მოელიან საქმის სამართლიანათ გადაწყვეტას; რკინის გზის კანტორის წინ ორჯერ განზრახული დიდი დემონსტრაცია შევაჩერეთ. იმედი გვაქვს, რომ ძველი მთავრობის მიერ ფეხ-ქვეშ გათელილი ხალხისა და ქალაქის ინტერესები აღდგენილი იქნებიან ახალი მთავრობის მიერ.

აღმასრ. კომიტ. თავმჯდომარე ლატარია.

—

სარიყამიშში. ჩემურლი-ჩაის რაიონში მომუშავე მუშებმა და ჯარის-კაცებმა დააარსეს სოც.-დემ. პარტიული ორგანიზაცია. სალამი ჩვენს ბელადს ნოე ჟორდანიას.

პროკოფი ბილიკაძე.

ახალი ამბები

ხვალ, საღამოს 7 ს. დანიშნულია საოლქო კომიტეტის და თფილისის კომიტეტის რ. ს. დ. მ. პ. შეერთებული კრება ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

◆ **შრომის მინისტრი ამხ. მ. ი. სკობელევი თფილისში.** 7 ივლისს საღამოს 6 საათზე ბაქოს ჩქარი მატარებლით თფილისში ჩამოვიდა შრომის მინისტრი მ. ი. სკობელევი. ამხ. სკობელევს მოყვა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი მ. ი. ჯაფაროვი. სადგურზე მინისტრს შეეგებენ ადგილობრივ რევოლუციონურ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელნი და დიდძალი მუშები. რკინის გზის ბაქანზე გამწკრივებული იყო საპატიო დარაჯი მუსიკით. მისი მოსვლისას მუსიკამ მარსელიოზა შეასრულა. მას მიესალმენ როგორც პირველ მინისტრ-მოქალაქეს სხვა და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. სადგურიდან ის სასახლეში გაემგზავრა. გზაში—მიხეილის პროსპექტზე, ვერის ღაღმართზე და გოლოვინის პროსპექტზე გამწკრივებული იყო ჯარისკაცები, სამხედრო და პრაპორშჩიკთა სკოლების იუნკრები. სასახლეშიც მას ხალხი და ჯარის კაცები ბლომათ დახვდა.

◆ **თვითგასამართლება.** 7 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე სერებრიანისა და რუსკაია ქუჩების კუთხეში ბრბომ დაიჭირა ჯიბგირი გაბრიელ მარკარიანცი, რომელიც თურმე ჯარისკაცს ჯიბიდან აცლიდა საფულეს. ბრბომ დაუწყო უმოწყალოთ ცემა ჯიბგირს და ვინ იცის, რითი გათავდებოდა ყოველივე ეს, რომ მილიციონერებს არ მოესწროთ დროზე და გამხეცებულ ბრბოსთვის ხელიდან არ გამოეგლიჯა ჯიბგირი.

◆ **ოზურგეთის აღმასრულებელ კომიტეტის** თავმჯდომარე ვ. ღლონტი სთხოვს თფ. მ. და ჯ. დეპ. საბჭოს მუშათა სექციას მხარი დაუჭიროს ოზურგეთელების შუამდგომლობას ქ. ოზურგეთში სავაჟო გიმნაზიის გახსნის შესახებ.

◆ **სურსათი.** 7 აგვისტოს თფილისში მოვიდა 7 ვაგონი ფქვილი, 8 აგვისტოს 6 ვაგონი ფქვილი და 10 ვაგონი შაქარი (6 ვაგონი შაქარი გაეგზავნება პროვინციის კოოპერატივებს).

კრებები და მიტინგები.

— დღეს, 9 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, უდილნი ქუჩაზე № 3, დანიშნულია საზოგადო კრება პირველი სამილიციო უბნის სოციალ-დემოკრატების, თანამგრძნობლების და ყველა საარჩევნო კომიტეტის წევრების.

7 აგვისტო თფილისში.

(ქალაქის ახლად არჩეულ საბჭოს პირველი სხდომა).

7 აგვისტო დაუვიწყარი დღე იქნება თფილისის ცხოვრებაში. დღეს მოხდა პირველი სხდომა ახლად არჩეულ დემოკრატიულ საბჭოისა. ქალაქის საქმეები დღეს თვით მოქალაქეთა წარმომადგენლების ხელში გადავიდა, ამიერიდან თვით ხალხი განაგებს თავის ბედ-იღბალს.

თფილისის პროლეტარიატი გამარჯვებას დღესასწაულობს... იგი კვლავ გამოდის ქუჩაში და გრანდიოზულ მანიფესტაციით აღნიშნავს თავის დამოკიდებულებას ახალ საბჭოსთან. საღამოს 6 საათიდან დაიწყო მუშათა უბნებიდან მანიფესტანტთა დენა ერევნის მოედნისაკენ. მოდიან წითელი დროშებით რომლებზედაც წარწერილია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლოზუნგები, მოდიან მარსელიოზას სიმღერით, ისმის მუსიკის ხმა. აქ ხედავთ ნამდვილ შრომის ლაშქარს, აქ არიან მუშები ფაბრიკა-ქარხნებიდან, სახელოსნოდან, პროფესიონალურ კავშირების წევრები. 7 საათზე ერევნის მოედანი ხალხითაა გაჭედილი, ჰაერში ფრიალებს 50 მდე წითელი დროშა, მუშათა კლასის იდეოლოგების სურათებით... იმღერიან მარსელიოზას, უკრავს მუსიკა. მანიფესტაციაში მონაწილეობას იღებს 30 ათასამდე კაცი თფილისის პროლეტარიატის მეთაურობით. დემოკრატია ამით აღნიშნავს, რომ იგი მუდამ მხარს უჭერს თავის წარმომადგენლებს, რომ მის მიერ არჩეულ

ხმოსნებს შეუძლიათ დაეყრდნონ მას მტერთან ბრძოლაში, რომ იგი მუდამ დარაჯათ უდგას მოპოებულ უფლებებს...

მიტინგი გახსნა ამხ. სადაგიშვილმა რ. ს.-დ. მ. პ. 1 კოლექტივის სახელით, იგი მიესალმა დამსწრეთ ნაძალადევის მცხოვრებთა სახელით და მოუწოდა შეინარჩუნონ ის სიმაგრე, რომლის აღება შედეგია თფილისის დემოკრატიის ნაძალადევის მეთაურობით ბრძოლისაო. ს.-დ. ფრაქციის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. დ. პოპოვი, ამხ. ნოე რამიშვილი მიესალმა მიტინგს რ. ს.-დ. მ. პარტიის საოლქო კომიტეტის სახელით. ლაპარაკობს მთელი რიგი მუშა ორატორებისა, ისინი სალამს უძღვნიან მიტინგს სხვადასხვა კოლექტივებისა და ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავეთა სახელით და გამარჯვებას ულოცავენ...

აგერ მოქროლავს ავტომობილი, რომელშიაც მუშათა კლასისათვის ერთი თავდადებული მებრძოლთაგანი, შრომის მინისტრი ამხ. მ. სკობელევი სდგას. ის დღეს ჩამოვიდა თფილისში. „ურასა" და „გაუმარჯოს" ძახილი ჰაერს არყევს. სკობელევს უნდა ავტომობილიდან მიმართოს ხალხს სიტყვით, მაგრამ მას არ აცლიან, ხელში აიტაცებენ და ტრიბუნაზე დასვამენ. იგი შემდეგის სიტყვებით მიმართავს დამსწრეთ:

„ამხანაგებო! 27 თებერვალს აღიმართა პროლეტარიატის ძლიერი ხელი ძველი ტირანიის დასამხობათ. ამ რევოლიუციის გულისთვის პირველათ პეტროგრადში დაიღვარა პროლეტარიატის უმანკო სისხლი. ძველი რეჟიმი, ძველი წესი, ანუ უფრო სწორათ, რომ ვსთქვა, ძველი უწესოება სამუდამოთ დასამარდა. ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი წესწყობილება. უნდა დავიცვათ რევოლიუცია... თუ ჩვენი ძმები იქ—ბრძოლის ველზე სისხლისაგან იცლებიან, მტრის წინააღმდეგ იბრძვიან, რევოლიუციას გარეშე მტრისაგან იცავენ, ჩვენი წმინდა მოვალეობაა გაუმაგროთ ზურგი, რომ ამით რევოლიუციისათვის მკვიდრი საფუძველი შევქმნათ. ამას გვავალებს ჩვენ აი ეს წითელი დროშები!.. ახლა კრიტიკულ მომენტს განვიცდით: რევოლიუციას აუარებელი მტერი ჰყავს... მაგრამ დემოკრატია შესძლებს მის ხსნას... თუ ჩვენ ძველი რეჟიმის დროს თავს ვსდებდით რევოლიუციის შესაქმნელათ, დღეს, როდესაც რევოლიუცია მოვახდინეთ, ჩვენი ლოზუნგი არის და უნდა იყოს მხოლოდ ერთი: ან სულ დავიხოცებით, ან გავიმარჯვებთ!..

ამ სიტყვებით სკობელევმა დაათავა თავისი სიტყვა... ხალხმა იგი ისევ ხელში აიყვანა და „ურას" ძახილითა და ტაშის ცემით ავტომობილში ჩასვა...

მიტინგი გრძელდება...

თფილისის დემოკრატია დღესასწაულობს... მისი ერთსულოვანი გამოსვლა შიშის ზარსა სცემს ხალხის მტერთ, პლუტოკრატიის თუ ნაციონალისტურ ბურჟუაზიულ პარტიის წარმომადგენლებს ეცოდინებათ, თუ ვისთან ექნებათ საქმე ახალ საბჭოში. მათ დღეს ერთხელ კიდევ დაინახეს თავის თვალით, თუ რაოდენი ძლიერი ლაშქარი უმაგრებს ზურგს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, ისინი დარწმუნდნენ, რომ ს.-დ. ფრაქციასთან ბრძოლით, ებრძვიან თვით ამ მრავალ რიცხოვან ლაშქარს და... მწარე ფიქრებს მიეცნენ, მათი სიტყვა არ ისმოდა დღეს, ისინი არ სჩანდენ..

მოახლოვდა საბჭოს სხდომის გახსნის დროც. თფილისის ძველი საბჭოს სხდომების დარბაზში თავს იყრიან ახალი ხმოსნები. პლუტოკრატიულ საბჭოს ადგილს იჭერს დემოკრატიული საბჭო...

საღამოს 9 ნ ს. საათია. საბჭოს დარბაზი ხალხითაა გაჭედილი. ყველა ერთგვარის ინტერესითა და ცნობის მოყვარეობის გრძნობით მოელის სხდომის გახსნას. ქანდარაზე გარეშე პირთა ტევა აღარაა. ყველა ადგილობრივ გაზეთებს გამოუგზავნია თავის წარმომადგენლები, რომლებიც იქვე ესტრადის დაბლა მოკალათებულან პატარა მაგიდებთან. ესტრადაზე მოსჩანან ძველი გამგეობის წევრები... დარბაზის მარცხენა ნახევარი ს.-დ. ფრაქციამ დაიჭირა, მას მარჯვნით მიყვებიან ს.-რ., შემდეგ დაშნაკელები, ფედერალისტები, ნაციონალ დემოკრატები, კადეტები და მუსულმანები.

სასიამოვნო სურათს წარმოადგენს ს.-დ. ფრაქცია. პირველ რიგზე შუაში, ვით არწივი, ზის პროლეტარიატის ბელადი ბაირაღდარი ნოე ჟორდანია. მარჯვნით მას გვერდში უზის მუშა ა. ჩიაბეროვი, შემდეგ ყარაჯიანი, ჰ. აზატიანი; მარცხნით—ნოე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, გერასიმე მახარაძე, დ. პოპოვი.

სხდომას ხსნის ქალაქის თავი ალ. ხატისოვი. იგი მოკლე სიტყვით მიესალმა ახალ საბჭოს, მოიგონა ამხ. ირაკლი წერეთლის სიტყვები პარტიული თვით-განსაზღვრის შესახებ და სთქვა, მართალია მუნიციპალური პლატფორმა გვყოფს ჯგუფებათ, მაგრამ დევიზი ყველა ცოცხალ რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანებისა, დეე, გვაერთიანებდეს ყველას ხალხის საკეთილდღეოთო...

სიტყვის დასასრულ ა. ხატისოვი იძლევა რამდენიმე საყურადღებო ცნობებს ახალი საბჭოს შესახებ. სულ საბჭოში არჩეულია 120 ხმოსანი, წარმოდგენილი 9 ჯგუფი თუ პარტიისა. საარჩევნო სიაში შეტანილი იყო 149,942 ამომრჩეველი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 92 677 კაცმა, რაც 62, 4 პროც. უდრის. თითეულ ხმოსანზე მოდის 772 საარჩევნო ხმა. ძველი საბჭოდან ახალ საბჭოში მხოლოდ 21 ხმოსანი მოხვდა.

ამის შემდეგ კერძო თათბირის დადგენილების თანახმათ, რომელიც საბჭომაც დაადასტურა, სანამ თავმჯდომარის არჩევას შეუდგებოდენ, ფრაქციებს მისცეს ნება განცხადება გაეკეთებიათ.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით დეკლარაციას კითხულობს ამხ. ევგენი გეგეჭკორი*). კაჩოკიანი კითხულობს დაშნაკელთა დეკლარაციას. ჩვენს მუნიციპალურ პლატფორმას—ამბობს დეკლარაცია—საფუძვლათ დაედება მშრომელი მასის ინტერესებიო. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ ყველა იმ დაწესებულებათა მუნიციპალიზაციას, რომლებიც მცხოვრებთა უმრავლესობას ემსახურება, აგრეთვე პირველ საჭიროების საგნებისა; ქალაქის დაწესებულებებში მუშათა საკითხში უნდა განხორციელდეს სოციალისტურ პარტიათა პროგრამა-მინიმუმი; ქალაქმა უნდა მოაწყოს საჭირო რიცხვი ოთახებისა, სანიტარიისა და ჰიგიენის საქმე ფართო ნიადაგზე უნდა იქნას დამყარებული, ღარიბთათვის უნდა მოეწყოს უფასო სავათმყოფოები, საყოველთაო სავალდებულო სწავლა-განათლება, შემოსავლის კვალობაზე პროგრესიული გადასახადი და სხ.

ამხ. მეუმრავლესეთა დეკლარაციას კითხულობს ამხ. მიხა ცხაკაია. დეკლარაციაში ნათქვამია: ჩვენ მოვითხოვთ: 1) ადგილობრივ თვითმართველობის სფეროში—სრულ დამოუკიდებლობას, ყველა თანამდებობის პირთა არჩევას და მათთვის ჯამაგირის მიცემას; 2) მუშებისა და რევოლიუციონურ ორგანოების კონტროლს წარმოებაზე და აგრეთვე პირველ საჭიროების საგნების წარმოების მოწყობას; 3) სანოვაგისა და პირველ საჭიროების საგნების სამართლიან განაწილების მოწყობას, სურსათის აღწერას, მათ რეკვიზიციას და ვაჭრობაზე კონტროლის დაწესებას; 4) ქალაქის საზღვრებში არსებულ ყველა მიწების კონფისკაციას და თვითმართველობის ორგანოების ხელში გადაცემას; 5) ყოველგვარ სადგომების რეკვიზიციას, ოთახების რაოდენობის გამორკვევას და მათი განაწილებას და ღარიბ-ღატაკთა ოთახებით უზრუნველყოფას; 6) იმ დაწესებულებათა მუნიციპალიზაციას, რომლებსაც კავშირი აქვთ წარმოებასთან, პირველ საჭიროების საგნების შემოტანა-განაწილებასთან; 7) დაუყონებლივი შეფასება უძრავ ქონებისა, შემოსავლის კვალობაზე პროგრესიული გადასახადის შემოღება, სახლის პატრონებზე და კაპიტალისტებზე ზედმეტი გადასახადების გაწერა; 8) სახალხო მილიცია; 9) შრომის დაცვა, 8 საათის სამუშაო დღე, ხელფასის მინიმუმის დაწესება, შრომის ბირჟების მოწყობა, საზოგადო სამუშაოს მოწყობა; 10) სკოლების მუნიციპალიზაცია, საერთო, უფასო, სავალდებულო ყველა ბავშვთათვის თანასწორი სწავლა-განათლება 16 წლამდე საშობლო ენაზე.

ამხ. მეუმრავლესეთა დეკლარაციის კითხვის დროს დარბაზში შემოდის შრომის მინისტრი ამხ. მ. სკობელევი. მას მოჰყვა ამხ. აკაკი ჩხენკელი და მ. ჯაფაროვი. დამსწრენი დიდი აღფრთოვანებითა და ოვაციებით შეხვდენ სოციალისტ-მინისტრს... ხატისოვმა მოკლე სიტყვით მიმართა სკობელევს. სკობელევმა თავის მხრით მოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა. თქვენი საბჭო—სთქვა სხვათა შორის სკობელევმა—ეს სახეა მომავალი დამფუძნებელი კრებისა. ჩვენ, ცენტრალური მართვა-გამგეობის მატარებელნი გულის ფანცქალით ველოდებით იმ წუთს, როცა წარსდგებით დამფუძნებელ კრების წინაშე და ხალხის წარმომადგენლებს გეტყვით: ბედმა ტვირთი დაგვაკისრა ჩვენ რევოლიუციამ; ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა და ახლა თქვენ გაბარებთ რუსეთის ბედიღბალსთქო. ეს იქნება ყველაზე უმშვენიერესი და ბრწყინვალე დღე რუსეთის რევოლიუციაშიო—სთქვა ორატორმა.

სკობელევი დარჩა სხდომაზე. საბჭო გადავიდა მორიგ საქმეებზე. ს.-რევოლიუციონერთა სახელით დეკლარაციას კითხულობს გ. ნათაძე. რაიონულ საბჭოების დაარსება და მათი უფლებათა გაფართოება, შემოსავლის კვალობაზე პროგრესიული გადასახადი, 8 საათის სამუშაო დღე, ბინის საკითხის მოწესრიგება, დაზღვევა, საყოველთაო სავალდებულო სწავლა განათლება, ყველა ეროვნებათა დაკმაყოფილება, ხოლო ყოველგვარ ნაციონალისტურ ტენდენციებთან ბრძოლა.

აი მთავარი მოთხოვნილებები სოციალისტ-რევოლიუციონერთა დეკლარაციისა.

კადეტების წარმომადგენელი სემიონოვი ახასიათებს თანამედროვე მომენტს, მუნიციპალურ პლატფორმას არ აყენებს, იგი გაზეთში გვქონდა დაბეჭდილიო.

ნაციონალ-დემოკრატების სახელით ლაპარაკობს გ. გვაზავა, არც ის ჩერდება თავის პარტიის მუნიციპალურ პროგრამაზე, ამბობს მხოლოდ, რომ დემოკრატიულ ნაბიჯებს დაუჭერთ მხარსო. მეტ დროს ანდომებს მომენტის დახასიათებას, ხალხში რევოლიუციონური აღფრთოვანების გამოსაწვევათ საჭიროთ მიაჩნია ყველა ერთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. იგონებს 83 წლის ხელშეკრულებას, საქართველო დღესაც არ არის თავისუფალი, მისი უფლებები დაუყონებლივ უნდა იქნას აღდგენილი, დაუყონებლივ უნდა მოგვეცეს ავტონომიაო.

სხვა ჯგუფები არ გამოსულან დეკლარაციით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი ფედერალისტები არ დასწრებიან ამ ისტორიულ სხდომას, არ წარმოუდგენიათ თავისი დეკლარაცია, ხოლო მათი „მოკავშირე" უკრაინელები ყველა საკითხებში სოციალისტ-რევოლიუციონერებს უჭერდენ მხარს.

ამ დროს დარბაზში შემოდის მიტინგის დელეგაცია. ამხ. ლასა მგელაძე მოკლე შინაარსიანი სიტყვით მიმართავს დამსწრეთ მიტინგის სახელით და კითხულობს მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციას: „მიტინგი, რომელსაც დაესწრო მრავალი ათასი თფილისის მუშები და ჯარისკაცები, სალამს უძღვნის ახალი საბჭოს სახით თფილისის რევოლიუციონურ დემოკრატიის დიდ გამარჯვებას და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სრულიათ განახლდება ქალაქის გამგეობა, რომელშიაც შევლენ ინტერნაციონალურ დემოკრატიის წარმომადგენლები".

ამხ. სკობელევი დროის უქონლობის გამო იძულებულია დასტოვოს სხდომა. იგი კიდევ სიტყვით მიმართავს საბჭოს, ეხება თანამედროვე მომენტს, აღნიშნავს, რომ მდგომარეობა მეტათ კრიტიკულია და მოუწოდებს ყველა რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანებისაკენ.

ა. ხატისოვი სთხოვს სკობელევს გადასცეს სალამი თფილისის წარმომადგენელ კარლო ჩხეიძეს, რომელიც დღეს სათავეში მოექცა რევოლიუციასო. ჩვენ გვწადია დამფუძნებელი კრების დაჩქარებით მოწვევა, მანამდის კი თქვენთან ერთად ვიმუშავებთ და არავითარ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლას აქ გასავალი არ ექნებაო.

ხანგრძლივი ტაშისცემით და ოვაციებით გააცილა საბჭომ ძვირფასი სტუმარი.

ამის შემდეგ ხატისოვი აცხადებს, რომ ქალაქის ძველი გამგეობა გადადგა თავის ადგილიდანო და თავმჯდომარეობს მხოლოდ საბჭოს ახალ თავმჯდომარის არჩევამდე.

ირჩევა საკითხი რამდენი წევრი აირჩიონ პრეზიდიუმში და რამდენი დაუნიშნონ მათ ჯამაგირი. მ. სმირნოვი და ნ. რამიშვილი ს.-დ. ფრაქციის სახელით მოითხოვენ ჯერჯერობით, სანამ ფრაქციათა შორის დამოკიდებულება სავსებით გამოირკვევოდეს არჩეულ იქნას მხოლოდ თავმჯდომარე და დაენიშნოს მას 500 მან. თვეში. ჩვენი ფრაქცია ცდილობს ხარჯების შემცირებას, მაგრამ 500 მანეთზე ნაკლებს ვერ დაუნიშნავთ თავმჯდომარეს და საზოგადოთ, ჩვენ მოვითხოვთ ყველასათვის ჯამაგირის დანიშვნას, წინაღმდეგ შემთხვევაში მუშებს არ ექნებათ შეძლება რაიმე თანამდებობა დაიჭირონ—სთქვეს ორატორებმა.

ხუმბადოვი და გლოტოვი ს.-რ. სახელით აცხადებენ, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან ჯამაგირების დანიშვნისა. ჯამალიანი (დაშნ.) მოითხოვს დღესვე თავმჯდომარის მოადგილის არჩევასაც. გ. გვაზავა (ნაც.-დემ.) სავსებით უერთდება ს.-დ. ფრაქციის განცხადებას.

ს.-დემოკრატები, კადეტები, ნაც. დემ. და მუსულმანები მოითხოვენ ჯერ-ჯერობით მარტო თავმჯდომარის არჩევას, დაშნაკელები მოითხოვენ თავმჯდომარის მოადგილის არჩევასაც. ს.-რ. თავს იჭერენ ამ საკითხში და წინააღმდეგნი არიან ჯამაგირის დანიშვნისა, სხვა ფრაქციები მოითხოვენ ჯამაგირების დანიშვნას. უყარეს კენჭი 71 ხმით 22 წინააღმდეგ დაადგინეს თავმჯდომარეს მიეცეს თვეში 500 მანეთი. ჯერი მიდგა თავმჯდომარის არჩევაზე. დაასახელეს ამხ. ევგენი გეგეჭკორი.

ს.-რ. აცხადებენ, რომ ისინი თავს შეიკავებენ კენჭის ყრის დროს, თუმცა გეგეჭკორს, როგორც პიროვნებას, ღრმა პატივსა სცემენ. ფ. მახარაძე მეუმრავლესეთა სახელით აცხადებს, რომ ისინი მოქალაქე გეგეჭკორის წინააღმდეგ მისცემენ ხმას. ოგაჯანიანი (დაშნ.) აცხადებს, რომ დაშნაკელებიც წინააღმდეგ მისცემენ ხმას. კადეტ ხმოსანში უკმაყოფილებას იწვევს თავისი აზრის ასე აშკარათ გამოთქმა ფრაქციების მიერ. ამხ. ნოე ჟორდანია აღნიშნავს, რომ, წინააღმდეგ, ეს მოვლენა მოსაწონია, ყველამ უნდა დაუფარავათ გამოსთქვას თავის შეხედულობაო.

არჩევნები ფარული კენჭის ყრით მოხდა. ამხ. ევგენი გეგეჭკორმა მიიღო 53 თეთრი და 26 შავი კენჭი. ა. ხატისოვი უთმობს ამხ. ევ. გეგეჭკორს თავმჯდომარის ადგილს. გეგეჭკორი შინაარსიანი სიტყვით მიმართავს საბჭოს, მადლობას უძღვნის მას ნდობის გამოცხადებისათვის და აცხადებს ვეცდები მიუდგომლობის ჩარჩოებში მოვაქციო საერთო მუშაობაო. ამასთანავე სთხოვს ხმოსნებს აღმოუჩინონ მას დახმარება თავის მოვალეობის შესრულების დროს და მოუწოდებს მათ ერთსულოვან, სოლიდარულ მუშაობისაკენ. პრინციპიალურად, ჩემ ფრაქციასთან ერთად მომხრე ვარ ჯამაგირის დანიშვნისა, მაგრამ მე პირადათ ხელს ვიღებ თქვენ მიერ დანიშნულ ჯამაგირზე და ვაცხადებ, რომ უსასყიდლოთ ვიმუშავებო,—სთქვა სიტყვის დასასრულ გეგეჭკორმა. ამ განცხადებამ, ცოტა არ იყოს, სახტად დასტოვა სოციალისტ-რევოლიუციონერები.

სხდომა გადადის მორიგ საკითხზე: ასარჩევია ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის დეპეშის თანახმათ წარმომადგენლები მოსკოვის თათბირზე გასაგზავნათ.

ფ. მახარაძე (მეუმრ.) წინააღმდეგია თათბირზე წარმომადგენლების გაგზავნისა, იგი მას კონტრ-რევოლიუციონურ დაწესებულებათ მიაჩნია და მოითხოვს მთელი მართვა გამგეობის საბჭოების ხელში გადასვლას.

ამხ. ნოე რამიშვილი არ ეთანხმება ფ. მახარაძეს, მასაც არ მიაჩნია მოსკოვის თათბირი რევოლიუციონურ დაწესებულებათ, მაგრამ აქედან სულ სხვა დასკვნა გამოჰყავს. სწორედ იმიტომ არის საჭირო ჩვენი წარმომადგენლების გაგზავნა, რომ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ თათბირის მუშაობაში და არ მივსცეთ მას ნება გადადგას კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯი. რამიშვილს მავნებლად და მიზან შეუფერებლათ მიაჩნია ასეთ პირობებში მახარაძის ბოიკოტისტური ტაქტიკა და მოითხოვს თათბირზე წარმომადგენლების გაგზავნას და მათთვის შემდეგი ნაკაზის მიცემას: დამფუძნებელი კრების დაჩქარებით მოწვევა, რევოლიუციონურ ორგანოთა დაცვა, მოპოებულ თავისუფლების დაცვა, უანექსიო და უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებული ზავი, არავითარი ორგანიზაცია არ უნდა შექმნას თათბირმა.

მეუმრავლესეთა გარდა ყველა მომხრეა თათბირზე წარმომადგენლების გაგზავნისა. კანდიდატებათ ასახელებენ იშკოვს (ს.-დ.) ნერუჩევს (ს. რ.) და ოგაჯანიანს (დაშნაკ.). ამხ. ნოე რამიშვილი აცხადებს, რომ ს.-დ. ფრაქცია ნერუჩევს მისცემს ხმას და არა ოგაჯანიანსო.

მეუმრავლესეებმა და კადეტებმა თავი შეიკავეს. ნერუჩევმა მიიღო 62 თეთრი და 21 შავი, იშკოვმა 56 თეთრი და 25 შავი, ოგაჯანიანმა 26 თეთრი და 54 შავი: ამნაირათ მოსკოვის თათბირზე წარმომადგენლათ არჩეულია იშკოვი და ნერუჩევი.

ამით დასრულდა პირველი სხდომა თფილისის ახლად არჩეულ საბჭოისა.

შემდეგი სხდომა მოხდება ხუთშაბათს. ასარჩევია ქალაქის თავი.

ვანე ადათიშვილი.

---

*) ეს დეკლარაცია ვრცლათ იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.

«წითელ ჯვარში»

სრულიად რუსეთის „წითელი ჯვრის" საზოგადოება ყოფილ დედოფლის მარიამის მფარველობით იყო დაფუძნებული და როგორც ომიანობის—ისე მშვიდობიანობის დროსაც ჰქონდა თავისი ადგილობრივი და ფილიალური განყოფილებები რუსეთისა და კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში. ხსენებული საზოგადოება ყველაზე უფრო ახლოს იდგა აწ განსვენებულ ძველ მთავრობასთან.

ამ დაწესებულებაზე რევოლიუციამ გავლენა ვერ იქონია და მოხელეები ძველი რეჟიმის ატმოსფერით არიან გაჟღენთილები.

რევოლიუციის შემდეგ კრებებიც კი გამართეს, უხეირო სიტყვებიც წარმოსთქვეს, აირჩიეს რაღაც კომიტეტიც, მარა მათი გაკეთებული კაცს არაფერი უნახავს, აქ უმეტეს ნაწილათ ჯარის-კაცებთა საერთო რიცხვი დაახლოვებით 10—12 ათასამდე აღწევს, მათში ორგანიზაცია ძლიერ სუსტია. აქ არსებობს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელიც აწყობს როგორც სოციალისტურ—ისე დემოკრატიულ წრეებს.

ერთ მშვენიერ დღეს პეტროგრადიდან ღებულობს დეპეშას „წითელი ჯვრის" მთავარი რწმუნებული კავკ. ლაშქართა არსებულ დაწეს. ლ. ვ. გოლუბიევი, რათა მოეწვია მედიკურ სანიტარული ყრილობა „წითელი ჯვრის" დაწესებულებებისა, რომ შეემუშავებია გეგმა რეორგანიზაციის. გოლუბიოვმა თანახმათ ბრძანებისა დაგზავნა დეპეშები მათ რწმუნებულ დაწესებულებებში; 116 დაწესებულებაში მხოლოდ 70-მდეს გაუგზავნა, არჩევნების წესიც შემდეგი იყო: ყველა დაწესებულება აგზავნის ამ 70-ში ოთხ-ოთხს დელეგატს თითოეული დაწესებულება თფილისში. ამ 70-დაწესებულებაში, რომელნიც მედიკურ დაწესებულებებათ აღიარეს, არის ისეთი, სადაც მსახურობს 300—400-მდე კაცი. არ ს ისეთიც სადაც მხოლოდ 2—5—10 კაცი. როგორც პირველნი ისევე მეორენი თითო დაწესებულება ოთხს კაცს გზავნის. სანიტარი სალდათები ორს, მოწყალ. დები, ფერშლები ერთს და ექიმი კიდევ ერთს. როგორც ხედავთ არავითარი პროპორციონალური წესი არ არის დაცული. რამოდენიმე დღის შემდეგ პეტროგრადიდან კიდევ მოდის დეპეშა საერთო ფრონტის წ. ჯ. დაწესებულებათა ყრილობის მოწვევის შესახებ, აქ კი სულ სხვა წესებით.

თითეული დაწესებულება ირჩევს თითო დელეგატს 400 კაციდან ის თუ 2-რი. ეს დელეგატთა სიეზდი იმუშავებს გეგმას „წითელი ჯვრის" დაწესებულებათა რეორგანიზაციისას, დემოკრატიულ ნიადაგზე ირჩევს სამს წარმომადგენელს და აგზავნის პეტროგრადში საერთო სიეზდზე. ამ რიგად მოწვეულ იქნა ორი სიეზდი მედიკურ-სანიტარული და საერთო ფრონტის.

როგორც პირველი, ისე მეორე [illegible] ხედავთ, ყალბ ნიადაგზე იყო [illegible]. ამასთან ას-თექვსმეტ დაწესებულებიდგან მედიკურ სიეზდზე გამოცხადდა 53 წარმომადგენელი. როგორც ხედავთ, ნახევარზე ნაკლები. ორიოდ კაცი მოვიდა მეორე სიეზდზედაც. ეს არ დაიშალა მაინც მედიკურ სიეზდის ინიციატორ საორგანიზაციო ბიურომ და სიეზდი გახსნა და კანონიერად იცნო მეორე სიეზდის სამზადისი მეორე ორგანიზაციულ ბიუროს ჩაუვარდა ხელში. ისმება საკითხი სიეზდების შეერთებისა. მეორე სიეზდის ორგანიზაციული ბიურო კატეგორიულ უარს აცხადებს და აღიარებს, როგორც ერთს, ისე მეორე სიეზდს უკანონოთ. აშკარათ გამოილაშქრეს მეორე სიეზდის მოწვევის წინააღმდეგ. მოიწვიეს საერთო კრება თფილისის დაწესებულებებში წ. ჯ. მოსამსახურე მოხელეებისა და დაიწყეს საერთო ფრონტის წ. ჯ. დაწესებულებათა დელეგატების სიეზდის საორგანიზაციო ბიუროს გასამართლება. სანიტარი ჯარის კაცები მიიწვიეს სათათბირო ხმით. ამათ პროტესტი განაცხადეს და კრება დასტოვეს. ასე პირველად დამარცხდნენ. შემდეგ მოწვეულ იქნა მეორე საზოგადო კრება, სადაც ჯარის კაც სანიტარებსაც იწვევდნენ.

როდესაც საქმეები აწეწილ-დაწეწილია ბნელი ძალებიც მაშინ გამოჩნდებიან და მღვრიე წყალში თევზების ჭერას იწყებენ. როგორც ზევით მოვიხსენიეთ აქაც არიან მძევლები ძველი რეჟიმისა, ისინი გრძნობენ, რომ მათ უკანტროლო ფარფაში ბოლო ეღება და ცდილობენ სადმე შევიდნენ. ყოფილ მოხელეებს მიემხრო ორიოდე ჯარისკაცი. საქმემ მეტად რთული და სერიოზული ხასიათი მიიღო. მთავარ-რწმუნებული ეკითხება ხან ერთს ხან მეორეს. ის გაიყინა. ვერც ერთ ბანაკს ვერ ემხრობა. სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი და მათი თანამოაზრენი ანებებენ თავს და თავიანთ პარტიულ საქმეების მუშაობას უდგებიან. იმ დღიდანვე აშკარა ხასიათს ღებულობს სიეზდების საქმეები. ამ დღიდანვე მარცხდება მეორე სიეზდის საერთო ფრონტის წ. ჯ. დაწესებულებათა დელეგ. სიეზდის მოწვევის საქმე. მედიკურ სიეზდის ინიციატორებმა თავისი გაიტანეს. მოიწვიეს ის ორიოდე „მოქიშპე" მოხელენი მედიკურ სიეზდზე და ამით გამოაცხადეს ორი სიეზდი შეერთებულად. აქ არც მწვადი დაწვეს და არც შამფური. ფრონტის წ. ჯ. დაწესებულებებიდან უკმაყოფილობა იმის, ადგილობრივი მოსამსახურენის ნაწილიც პროტესტს აცხადებს ს. დ. ჯგუფთან ერთად. „ვინც რა უნდა თქვასო,—წისქვილმა კი ფქვასო" იმეორებენ სიეზდის ინიციატორები და „შეერთებული" სიეზდი იწყებს მოქმედებას. სოც.-რევოლ. ექ. სკვორცოვი, რომელიც ტკბილ-ტკბილ სიტყვებს ეუბნებოდა სანიტარ ჯარისკაცებს და ყველა დაწესებულებების სათავეში სანიტარებს „აყენებდა" მისი ჭკუით, ეხლა ფერი იცვალა. როცა ხედავს, რომ სიეზდის ჩაშლა აღარ შეიძლება, ეუბნება სანიტარებს: „ექიმებს, როგორც თქვენზე ნასწავლთ ჩვენ გვიყურეთ, თუ თქვენში გამოჩნდება ჭკვიანი, იმასაც მოვიწვევთო".

მკითხველისათვის აშკარაა თუ როგორი „რეორგანიზაცია" იქნებოდა „დემოკრატიულ ნიადაგზე". ერთი ფაქტიც ახასიათებს სიეზდს. სიეზდის შემდეგ როგორც ვთქვით უნდა აერჩიათ 3 წარმომადგენელი პეტროგრადის სიეზ. დასასწრებლათ. დაასახელეს კანდიდატები. მათ შორის ცნობილი ექიმი მინასიანცი, მაშინ სოც.-დემ. ჯგუფის წევრი ექიმი მ—ლი ახასიათებს ბ ნ მინასიანცს, როგორც პასუხისგებაში მიცემულს ქურდობისათვის და მიუთითებს, რომ ს. დ. ჯგუფს აქვს ამის შესახებ მასალები და მიმართეთო. სოც.-დემ. ჯგუფის ბიურო იძლევა მასალებს, რასაც აცხადებს პრეზიდიუმის ერთი წევრი ექ. ფლოროვი, ამით არ კმაყოფილდებიან და ტელეფონით ეკითხებიან ამხ. ევგენი გეგეჭკორს, (მაშინ კავკასიის ჯარის დელეგატთა სიეზდს თავმჯდომარეობდა). ისიც ადასტურებს ფაქტს, რომ მინასიანცი პასუხისგებაში იყო მიცემული და რომ ის (გეგეჭკორი) გამოვიდა სოც.-დემ. ორგან. დავალებით მინასიანცის წინააღმდეგ, და სხვ. სიეზდი უკიდურესი გამოდგა. არც ამას ჯერდება და მინასიანცს ყუთს უდგამს. ყველა ამაების შემდეგ აშკარაა თუ რა შემადგენლობის იქნებოდა სიეზდი. არსებითათ არავითარი ცვლილება არსად არ მომხდარა.

ვლ. ბახველი.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

დ. ხაშური.

28 ივლისს ადგილობრივ რკინის გზის საკრებულოს დარბაზში შესდგა ხაშურის რაიონის რუს. სოც.-დემოკ. მუშათა პარტ. წევრთა საზოგადო კრება ამხ ნიკ. იმნაიშვილის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო წევრთა უმრავლესობა. კრების დღიურ წეს-რიგში იყო: 1) პარტიულ ამხანაგების დეზერტირობა, რომლებიც სისტემატიურათ არ ესწრებიან საზოგადო პარტ. კრებებს; 2) მოხსენება ხაშურის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტის მომავალ არჩევნების შესახებ და ამ არჩევნების დროს სოც.-დემოკ. პარტიის როლი; 3) ამხ. პეტრე მასლოვისა და ნ. იმნაიშვილის მოხსენებანი თანამედროვე მომენტზე და ახალ სამინისტროს შემადგენლობაზე. პირველ და მეორე საკითხების შესახებ კრებამ გამოიტანა ასეთი რეზოლიუციები: „ამხ. პარტიის წევრებს, რომელნიც სისტემატიურათ არ ესწრებიან კრებებს და ავიწყდებათ თავიანთი მოვალეობა პარტიის წინაშე, გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური. მოვალეობის შეუსრულებლობისათვის შემდეგში, ჩამოერთვათ პარტიული ბარათები და დარჩებიან პარტიის გარეშე. მხედველობაში იქნება მიღებული დაუსწრებლობის საპატიო მიზეზებიც; ხაშურის სარაიონო აღმ. კომიტეტის არჩევნების დროს პარტია ღებულობს მხურვალე მონაწილეობას, ასახელებს კანდიდატებს და უთანხმდება რა სხვა რევოლიუციონურს პარტიებს—აძლევს ამ უკანასკნელებს 10 ადგილს აღმ. კომიტეტში. (აღმ. კომიტ. წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატოს 25 კაცს). თხუთმეტი ადგილი ეძლევა სოც.-დემოკ. პარტიას, რეზოლიუციების მიღების შემდეგ, დარბაზში შემოდის ამხ. პეტრე მასლოვი, რომელიც ორგანიზაციამ მოიწვია აგარაკ ქვიშხეთიდან—მოხსენების წასაკითხათ და

სხვადასხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე სასაუბროთ. ამხ. მასლოვს ოვაციას უმართავს აუდიტორია და ირჩევს კრების საპატიო თავმჯდომარეთ. ამხანაგური მისალმების შემდეგ—მასლოვი აკეთებს მოხსენებას თანამედროვე მომენტზე, ვრცლათ ეხება რუსეთის რევოლიუციის გამომწვევ მიზეზებს, რუსეთის თანამედროვე ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობას, მოკლეთ ეხება აგრარულ საკითხსაც და ბოლოს მოუწოდებს ამხანაგებს შეერთებული და ნაყოფიერი მუშაობისაკენ. სმენათ გადაქცეული აუდიტორია ხანგრძლივის ტაშით აჯილდოვებს პატივცემულ მასწავლებელს. სხვათა შორის მასლოვმა დაახასიათა ახალი სამინისტროს შემადგენლობა, მოკლეთ გააცნო დამსწრეთ თვითოეული მინისტრის პიროვნება და თქვა—სთქვა მოხსენებელმა—მინისტრთა უმრავლესობა სოციალისტებია, საიმედო ხალხი, მაგრამ საფრთხეში ჩავარდნილი რუსეთის ხსნა მეტათ საძნელოაო. კრებას დაესწრნენ ბევრი ჯარისკაცებიც. მასლოვის კრებაზე დასწრებამ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მასლოვის შემდეგ—შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. იმნაიშვილმა, რომელიც ვრცლათ შეეხო რუსეთის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას, რევოლიუციის აწმყოს და მომავალს, კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობას საზოგადოთ და მოუწოდა ამხანაგებს შეგნებული მუშაობისაკენ.

მოხსენების შემდეგ თავმჯდომარე დახურულათ აცხადებს კრებას და მოუწოდებს ამხანაგებს დაევალოს ამხ. მასლოვს მიუძღვნას ამხანაგური სალამი ხაშურის ორგანიზაციის სახელით—რუსეთში მყოფ ჩვენ გმირ ამხანაგებს: კარლო ჩხეიძეს, სკობელევს და კაკი წერეთელს. ისმის ხანგრძლივი ტაშის გრიალი და მასლოვს ერთხელ კიდევ უმართავენ ოვაციას.

ამ კრებას ორი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხაშურის პარტიულ ცხოვრებაში: პირველი ის, რომ კრებას დაესწრო ისეთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, როგორიც არის ამხ. პ. მასლოვი და რომელმაც ამხანაგებს დაუსურათა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის სინამდვილე; მეორე მხრივ—კრებას დაესწრნენ რუსი ამხანაგები და ჯარისკაცები, რაც იმედით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში.

ნიკო გურული.

რევოლიუცია პროვინციაში

სიღნაღის მაზრა. 7 ივლისს მოხდა სამაზრო კომისარიატის რეორგანიზაცია. საზოგადო კრებას დაესწრო 85 სოფლის წარმომადგენელი, 12 პოლიტიკური პარტიებიდან სულ 97 კაცი. კრება გახსნა მუშათა საბჭოს თავმჯდომარემ ისებ კრაწაშვილმა და მოუწოდა დამსწრეთ აერჩიათ კრების თავმჯდომარე. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს პარმენ გელაშვილი, მის ამხანაგად სიმონ ნატროშვილი, მდივნათ გიგო ნაცვლიშვილი. კრების თავმჯდომარემ საზოგადოებას გააცნო გლეხთა საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მოვალეობა და წინადადება მისცა აერჩიათ სამანდატო კომისია. სამანდატო კომისიაში არჩეულ იქნა 8 კაცი, ყველა პარტიიდან. მანდატების შემოწმების შემდეგ (97 მანდატში 92 მანდატი კომისიამ კანონიერად იცნო) თუმცა დანარჩენებსაც მისცეს ხმა.

ფედერალისტებმა მოინდომეს კრების ჩაშლა. გამართეს ჩუმი მოლაპარაკება სოც.-რევოლიუციონერებთან და ნაც. დემოკრატებთან, რომელთა რიცხვი კრებაზე არ აღემატებოდა 12—13 კაცს. სოც. რევოლიუციონერები დაარწმუნეს, რომ ჩვენ ვითომც ვინც გვინდოდა ის მოვიწვიეთ კრებაზე, ესე იგი ჩვენიანები და ამით ერთგვარი ზეგავლენა მოვახდინეთ. ამის შემდეგ ლაგოდეხიდან გამოგზავნილმა ორმა ს. რევოლიუციონერმა იპოვეს რა მიზეზი, რომ კრებამ მათი წინადადება—დაეშვათ პოლიტიკური პარტიები მხოლოდ სათათბირო ხმით არ მიიღო, პროტესტი განაცხადეს და დემონსტრატიულად დასტოვეს კრება. მათ გაყვა ორი ფედერალისტი და 7—8 ნაც. დემოკრატი—ყველა ინტელიგენტი.

იმ საღამოსვე კრება გამართეს ამ პირებმა არჩევნების გასასაჩივრებლად. მეთაურობას კისრულობდა ლაგოდეხის ჯარის კაცების წარმომადგენელი ორი სოც. რევოლიუციონერი. ბლოკისტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მეორე დღეს და თითქმის ამ საღამოსვე—ცალკე კრების შემდეგ, როცა გაიგეს საქმის ნამდვილი ვითარება, სოც. რევოლიუციონერებმა თავისი სინანული გამოსთქვეს, რომ ფედერალისტებმა შეცდომაში შეგვიყვანესო, ხოლო ჩვენს წინაშე კი ბოდიში მოიხადეს.

ფედერალისტებს იმედი ჰქონდათ, რომ სოც. რევოლიუციონერები არჩევნებს გაასაჩივრებდენ, მაგრამ მეორე დღეს, როცა გაიგეს, რომ ისინი უარს ამბობდენ გასაჩივრებაზე პირში წყალ დაგუბებულები დარჩნენ.

ამ ორ არჩევნებში (საქალაქო და სამაზრო) სასტიკი დამარცხებით ფედერალისტებს მუშაობის ენერგიაც კი დაეკარგათ.

15 ში მოხდა ქვემო მაჩხაანის სარაიონო სასურსათო მართველობის არჩევანი, კრებას დაესწრო 65 წარმომადგენელი. კანდიდატები დასახელებულნი იყვნენ მათიც, ჩვენიც და ნაც. დემოკრატებისაც. კენჭის ყრა ფარული იყო. აღმოჩნდა: ჩვენებმა მიიღეს: ერთმა 52 ხმა, ორმა 36—36 ხმა. ფედერალისტებმა მიიღეს ერთმა 15, მეორემ—11 ხმა, ნაც.-დემოკრატმა 1 ხმა.

ასეთივე დამარცხება იგემეს გურჯაანში, სადაც მეორე სარაიონო სასურსათო მართველობის არჩევანი იყო 17 ივლისს. სწორედ ს.-დემოკრატი აირჩიეს ხმის უმეტესობით. კენჭის ყრა ფარული იყო აქაც.

22, 23, 24, 25 მოხდა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტის კრება სარაიონო კომისარების ასარჩევათ. ყველგან ს. დ. კანდიდატები აირჩიეს.

ამგვარად სიღნაღის მაზრის არჩევნებში ყველგან დამარცხდენ ფედერალისტები, მიუხედავათ ხშირი ტიპიური განცხადებისა, რომ ჩვენ სოციალდემოკრატებს აიურზე სოფლებიდან ვყრიდებიანო.

სოფლად კი არა ცენტრში რომ მაინც გაძლიერებულიყვნენ კიდევ იმედი ექნებოდათ მომავალში. უმადლოდენ ფურიანგელებს, რომ მათი საშუალებით ორი ხმოსანი გაიყვანეს თელავის არჩევნებში, თორემ, მგონი, ერთიც ვერ გაეყვანათ. ამას ქვია მათი გაძლიერება!! ფედერალისტებს ერთი ნუგეში-და დარჩენიათ—დღეს თუ არა ხვალ მაინც—და ამ ნუგეშით იკვებონ თავი.

ახალმა სამაზრო კომისარიატმა საქმეების ჩაბარების შემდეგ მაზრაში ორგანიზაციულ მუშაობას შეუდგა. თავის სამოქმედო ცენტრი რაიონებში გადაიტანა და ხალხის დახმარებით შეუდგა საქმის მოწესრიგებას.

ვინაიდან მთელს მაზრაში ანარქია იყო გამეფებული, რამაც ხელი შეუწყო ქურდობა ავაზაკობის განვითარება-გაძლიერებას სამაზრო კომისარიატმა ხალხთან ერთად მათთან საბრძოლველ სხვადასხვა კულტურული ზომები შეიმუშავა. ამავე დროს, რადგანაც ზაქათალის ოლქი გადაბმულია სიღნაღის მაზრაზე და ორივე მხრის ქურდებს ერთმანეთში მტკიცე კავშირი აქვთ და ამასთანავე ქურდობა-ავაზაკობა ბნელ ძალებს—რეაქციონერებს—გადააქვთ ნაციონალურ ნიადაგზე, სამაზრო კომისარიატმა წინასწარი თათბირი დანიშნა ზაქათალის ოლქის რწმუნებულთან და საოლქო კომისართან, ოლქის რაიონის წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვა საშუალების გამოსაძებნათ. თათბირმა გამოარკვია, რომ ორივე მხარეში ავაზაკობის ლიკვიდაციით უკვე გადადგმულია ნაბიჯი. ამ ორი კუთხის მცხოვრებთა შორის ძმობა-ერთობის დასამყარებლად და განსამტკიცებლად მაზრის კომისარის, პარმენ გელაშვილის, წინადადებით, წინასწარმა კრებამ გადასწყვიტა გაიმართოს შეერთებული ყრილობა. ორივე კუთხის მცხოვრებთა წარმომადგენლების საერთო ყრილობა, რომელსაც უნდა დაესწრონ სამ-სამი წარმომადგენელი ყველა სოფლიდან. ყრილობაზე ლაპარაკი იქნება დღევანდელ მომენტზედ, შემდეგ იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელიც ორივე კუთხის მცხოვრებთ აწუხებთ.

განზრახვა აქვთ დაარსდეს შეერთებული მუდმივი კომიტეტი 5 კაცისაგან, რომელშიც შევლენ ერთი ქართველი, ერთი რუსი, ერთი სომეხი, ერთი ლეკი და ერთი თათარი. ყველანი ჯამაგირიენით. კომიტეტის განკარგულებაში იქნება შერჩეული რაზმი 10 კაცისაგან შემდგარი, რომელიც მთელ თავის ყურადღებას ქურდებისა და ავაზაკების მოქმედებას მიაქცევს. ყველა სადავო საკითხს ეს კომიტეტი გადასწყვეტს, რომლის გადაწყვეტილებას მოპირდაპირე მხარეები უნდა დაემორჩილონ.

ყრილობა დანიშნულია 15 აგვისტოს ძველ ბორბანთან ალაზნის პირას. გარდა წარმომადგენლებისა, მსურველთ შეუძლიათ დაესწრონ.

ეს დღე სწორეთ დიდ მნიშვნელოვან დღედ უნდა ჩაითვალოს ამ ორი კუთხის მცხოვრებთათვის. ვინაიდან ამ დღეს ერთხელ კიდევ უნდა განმტკიცდეს ის ძმური დამოკიდებულება, რომელიც მათ შორის არსებობს.

ყრილობას ვარაუდით ათასზე მეტი კაცი უნდა დაესწროს.

10 მარიამობისთვეს სიღნაღში დანიშნულია სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის კრება. დღის წესრიგი: მოხსენება სამაზრო კომისარიატისა მაზრის მდგომარეობისა და მოქმედების შესახებ. მოხსენება სარაიონო კომისარებისა, პრეზიდიუმის არჩევა, დამფუძნებელი კრების არჩევნები, ბრძოლა რეაქციონერ ძალებთან, წარმომადგენლებისათვის ხარჯის დასაფარავად საშუალების გამოძებნა. საზოგადო კრებისთვის დღის დანიშვნა, დეზერტირების შესახებ, ტყის საკითხი, გზების შეკეთების საკითხი, გადასახადების და სხვა. კრებას შეუძლია მსჯელობა გამართოს სხვადასხვა საკითხზე, რომელსაც საჭიროთ დაინახავს.

12 აგვისტოს დანიშნულია სამაზრო გლეხთა საბჭოს კრება. კრების დანიშნულება პრეზიდიუმის არჩევა. მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის ცენტრის დაარსება და სხვა. ამ ჟამათ სიღნაღის მაზრა უკვე შეკრულია რაიონებად.

სამაზრო კომისარიატი გადასწყვეტს დროგამოშვებით რაიონებში მოაწყოს საზოგადო ყრილობები სხვადასხვა საკითხის გამორკვევათ და მიმდინარე მომენტის გასაცნობათ.

მოხუცი.

სართიჭალის რაიონი. 20 ივლისს სართიჭალაში მოხდა ყრილობა სართიჭალის რაიონის აღმასრულებელ კომიტეტებისა. თავმჯდომარეობდა რაიონის კომისარი ა. ქვათაძე. კრება შეეხო ბევრ საჭირ-ბოროტო საკითხს, რომელსაც კავშირი აქვს თანამედროვე მომენტთან. კრებამ საჭიროთ დაინახა: 1) მოსპობილ იქნას ის აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც არსებობენ ზოგიერთა პატარა სოფლებში, რომელიც შეიცავს 10—15 კომლს. 2) მიღებულ იქნას ყოველივე ღონე დეზერტირების აღმოსაჩენათ, ვინაიდგან ეს უმზადებს საფრთხეს თავისუფლებას. 3) აეკრძალოს რაიონში ღვინით მოვაჭრეებს ღვინით ვაჭრობა. 5) შედგეს მფარველი რაზმი ყაჩაღთა სადევნელათ და გამოეცხადოს ამ მიზნით თათრებს ვისგანაც ჯერ არის. 5) ქურდების შესახებ კომიტეტმა დაადგინა: ებრძოლონ თვით გასამართლებას. ტყის შესახებ დადგენილ იქმნა, რადგანაც ისპობა ტყის ქურდებისაგან და თვით „ამეშჩიკებიც" არა ზოგავენ და ქურდულად ტყეს აჭრევინებენ, რომ შემდეგ დაამზადონ გლეხებს, ამიტომ გაგზავნილ იქნას კომიტეტისაგან კაცები ამიერ კავკასიის კომისარიატთან თხოვნით, რომ გადაყენებულ იქნას ძველი შემადგენლობა ტყის დამცველებისა და ამორჩეულ იქმნან ახლები. დასასრულ რაიონის კომისარმა შემოიტანა განცხადება, რომ ის გაანთავისუფლონ კომისრობისაგან, მას სთხოვეს დარჩენილიყო თავის ადგილზე.

ა. გაცვლელი.

თიანეთი. 30 ივლისს თიანეთის ალმ. კომიტეტის კრებამ განიხილა თიანეთის ხალხის დადგენილება მიხა ძებინაურის და ალ. აბაზაძის ბოროტ-მოქმედების შესახებ. დადგენილებაში მოყვანილია აღნიშნულ პირების შეგრაზმული მოლდ წერა, რისთვისაც ხალხს გადასახლების დროს განუსაზღვრელად თიანეთის მაზრიდან. დადგენილებას თიანეთის საზოგადოების მცხოვრებნი ხელს აწერენ და წინადადებას აძლევენ ალმ. კომიტეტს, რომ განაჩენი დაუყონებლივ იქნას მოყვანილი სისრულეში. კომიტეტის კრებამ ხალხის გადაწყვეტილება მიიღო.

სამაზრო საარჩევნო კომისიაში არჩეულ იქნენ: გ. მენთეშაშვილი, (თავმჯდომარე), ექ. ალ. ხიზანოვი, ი. ფურცელაძური, ვ. ჩოხელიშვილი და ან. წუჯიაშვილი.

ნიკო ალ. ჩხუტიაშვილის შესახებ, რომელსაც ბრალდება ბევრი დანაშაულობა მოვალეობის ასრულების დროს (ილდაკანის სადგურის „სტაროსტა"). კომიტეტმა კამათის შემდეგ დაადგინა გაძევებულ იქნას მაზრიდან. ამავე ჩხუტიაშვილის დაჭერის გამო გამოირკვა, რომ სად. კომიტეტში უცნობებით დებულებით, რომ მაზრის კომისარმა უკანონოთ დაატყვევა ჩხუტიაშვილი და ეთხოვეთ გამოძიებასო. ამ დებულებას ხელს უწერია სად. კომ. წევრს ექიმ გოგილიევს. დებულება სად. კომ. უკანონოდ იქნა დაბრუნებული სამაზ. კომისარიატში.

ალმ. კომიტეტის კრებამ მოისმინა მოხსენება, რომ მღვდელი ნიკო მაკურაძე და მისი მეუღლე ცუდი ყოფა-ქცევისათვის და შეურაცხმყოფელი მოქმედებისათვის თავის მრევლს ადგილიდან დაეთხოვოს და მიეთხოვონ სხვებს.

თიანელი.

პროვინციის ცხოვრება.

სად. ბორჯომი. ხშირად შეხვდებით ვაგონებში რკინის გზის მოსამსახურეთა დაუდევრობას. ზოგი უზნეო მოსამსახურენი ერთი სარგებლობენ და ვინ იცის რამდენს არ ფუქსავენ მგზავრებს. ასეთები თითქმის ყველა სადგურებზე არიან, მაგრამ სად. ბორჯომს კი არიან ისეთები, რომ მათი დახასიათება ძნელია. სადგურის უფროსის თავგასულობას საზღვარი არა აქვს. მოსამსახურეთა ცემა-ტყეპას, რომ თავი დავანებოთ ეს ვაჟბატონი ყველა დანაშაულებას ჩადის, რომ დაამტკიცოს რევოლიუციის შემდეგ ცუდათ მიდის საქმე, ამისათვის თუ წინეთ რაიმეს აკეთებდა დღეს სულ აიღო ხელი ყველაფერზე, როცა მოსამსახურეების სიტყვები არ ესიამოვნება, აფრთხილებს მოსამსახურეებს „ენას მოუარე, თორემ მოგაშორებთო" და სხვა მრავალი. უფროსის მისი თანაშემწე დემსკიც არ ჩამორჩება და მგზავრებს ლანძღავს, აგინებს. მას მგზავრმა მოსთხოვა დაკარგული ნივთი, რომელიც მოსამსახურეებმა მას გადასცეს. ის კი საპასუხოდ ილანძღება.

ვლ. ხახველი.

წერილები რედაქციის მიმართ.

„ერთობის" №-109 ნომერში მოთავსებულია სოფ. იტრიიდან ცნობა. უსახელო ავტორი სცდილობს ჩემს სახელს ჩრდილი მიაყენოს და ორი [illegible] დააწეროს. მეც მიმღებ[illegible] და მრევლის მიერ დაწუნებული მღვდლის მ. ნებიერიძის გულიც მოიგოს და მისი მრევლის მიერ დაწუნება მე გადმომაბრალოს. დუშეცხოვის მღვდელი საზოგადოებამ არ მიიღო, ამბობს ცნობის ავტორი, „რადგან გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელს 400 მან. ქრთამი დაუხარჯავს იტრიაში გადმოსვლისათვის"-ო და უმატებს: „ამ ქრთამს აღებას აბრალებენ ვინმე მეზურიშვილსაო", საკვირველია თუ ცნობის ავტორი დარწმუნებული არ იყო მასში, რასაც იგი შავით თეთრზე სწერდა—რათ სწერდა და თუ დარწმუნებული იყო ეს ვითომ რადგან ეხაჭირობაო? მე არ შევეხები იმას თუ საიდგან ან როგორ გამოარკვია უსახელო ცნობის ავტორმა ის გარემოება, რომ დუშეცხოვის მღვდელმა ვისმე ქრთამი მისცა, რასაც კორესპონდენციის ავტორი ბრძანებს, მაგრამ არ შემიძლია არ შევეკითხო მას, რომ რადგანაც ის ქრთამის მიმცემს გამოაშკარავებულად აცხადებს უეჭველია მას მიმღებიც ეცოდინება და ეცოდინება ერთ ქუჩაში მოხეტიალე მეჭორეებისაგან, არამედ სარწმუნო წყაროებიდან. იძულებული ვარ ამხანაგურ სამართალში გამოვიწვიო ცნობის ავტორი. მე მგონია ამხანაგურ სამართალს ცნობის ავტორი ვერ გაექცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვარ ვუწოდო მას მეჭორე და ცილისმწამებელი.

ალ. ბეზურიშვილი.

სოფელი ღრელი ღრელი იმყოფება ახალციხის მაზრაში. ამ სოფელში ცხოვრობს ორმოცი მოსახლე გლეხი, იმათში 35 კომლი ქართველი მართლ-მადიდებელია, დანარჩენი ხუთი მოსახლე-კი ქართველი მაჰმადიანებია. გარს ამ ჩვენს სოფელს არტყია ქართველი მაჰმადიანების სოფლები: მინაძე, ოხერა, ძირ, ანდა და კისათიბი. რადგანაც ჩვენი შვილები ზაფხულობით სულ ამ ქართველ მაჰმადიანების შვილებთან ატარებენ დროს, ე. ი. საქონელს ერთად წყემსენ მინდორში, ამის გამო ჩვენი შვილები სულ თათრულად ლაპარაკობენ და ქართული ენა-კი მივიწყებული აქვთ და რიგიანათ არ ეხერხებათ ქართულად ლაპარაკი.

ჩვენი ქართული დედა-ენა რომ სამუდამოთ არ მოისპოს ჩვენში და მომავალმა ჩვენმა თაობამ, რომ უფრო რიგიანათ ისწავლოს ქართული ლაპარაკი და ამასთანავე ქართული წერა-კითხვა; ჩვენ, მთელმა სოფლის მცხოვრებლებმა, დავადგინეთ განაჩენი, რომ ჩვენ სოფელ ღრელში გავხსნათ ქართული სკოლა, ამისათვის მივმართეთ თხოვნით ტფილისის ქართულ წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას და აგრეთვე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომ გაგვიხსნან ქართული სკოლა სოფელ ღრელში და აგრეთვე მოგვცენ შემწეობა ფულით სკოლის შენობის აგებისათვის.

ჩვენი სოფლის ახალგაზრდები ომში არიან წასულნი და სოფელში დარჩენილებით მარტო ქალები და მოხუცი კაცები, რომელთაც ამ სიძვირის დროს არ შეუძლიან ჩვენის ხარჯით სკოლის შენობის აგება. ამის გამო მივმართავთ თხოვნით საქველმოქმედო საზოგადოებას და აგრეთვე კერძო პირებს, რომ ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს და აღმოგვიჩინონ შემწეობა ფულით ჩვენი სკოლის შენობის ასაგებათ სოფელ ღრელში და ამით დაიხსნან ჩვენი შვილები, მართლა ქართველები, გადაგვარებიდან.

სულ მცირე წვლილიც მიიღება დიდი მადლობით. ამ ჩვენი სკოლის გახსნის შესახებ ამოვირჩიეთ ჩვენი მეზობელი, მასწავლებელი ნამყოფი ი. ს. ნებაძე და იმას მივანდეთ ეს ჩვენი სკოლის საქმე, რადგანაც ჩვენი განაჩენი და დღეიდგან ის არის ჩვენი რწმუნებული, რომელმაც უნდა მოიგვაროს ეს ჩვენი დაწყებული კეთილი საქმე.

იმედი, რომ ეს ჩვენი თხოვნა, ანუ მოწოდება, არ დარჩება უყურადღებოთ დაწინაურებული და პატივცემული ქველ-მოქმედნი მოგვაწვდიან თავიანთ წვლილს, რომელიც იქნება გაზეთში გამოცხადებული.

შემოწირულება მიიღება ჩვენი რწმუნებულის, მასწავლებლის ი. ს. ნებაძის სახელობაზე: въ г. Тифлисъ, Набережная Гимназическая улица, домъ № 4, кв. 5. Іессею Соломоновичу Небадзе.

ს. კონტუთი. (ხორის რაიონი). ვ. ნინოშვილის სახელობის სამკითხველოს ნაცნობ მეგობრებში შეგროვილი წვლილი გადმოგვცეს: ვალოდია ხატიაშვილმა 138 მ., პრ. პ. ჩარგეიშვილმა 175 მ., ივანე რატიანმა 125 მ., ილიკო კვალიშვილმა 80 მ., ფარნა რუხაძემ 9 მ. 50 კ., მელიტონ რუხაძემ 15 მ. 65 კ., ზემო მოხსენებულ პირთ და შემომწირველთ დიდ მადლობას უძღვნის ხსენებული სამკითხველოს გამგეობა.

ხანჩეთის წიგნ-საცავ-სამკითხველოს ახალგაზრდებს წვლილი შეგროვილი 23 მ. [illegible] თან სიაც. ეს ფული მიიტანა ნიკო შოისრაფიშვილმა. ორი თვე შესრულდა, რომ მას არავისთვინ არ გადმოუცია და არც ფიქრობს გადაცემას. პარტიამ ასეთი საქმისთვინ ის პასუხის გებაში მისცა.

შელატიშვილი.

თიანეთის სამაზრო ბიურო მადლობას უცხადებს 55 მანეთის შემოწირულებისათვის ახალგაზრდა ამხანაგებს შელიქ ეპიტოვს და ალექსანდრე ხაჩატუროვს. შემოწირული ფული განაწილდა ასე: 10 მან. დახმარება ღარიბ ქალს, 3 სოფელს სამ სამი თვით გამოეწეროს გაზ. „ერთობა", დანარჩენი ბიუროს მიმდინარე ხარჯებისათვის.

თიან. მ. ბიურო.

ჩვენი ფოსტა.

გიორგი შარმიაშვილს. ქ. ქუთაისი იოსებ კაკაბაძე.

ს. ყარაურგანი. ვლადიმერ ლალიაშვილს და შემომწირველ მეგრების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ სია არ იბეჭდება უადგილობის გამო.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოქიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 საათ, და 6—8 ს. საათამდე

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტბილისური ქუჩა, №

ტფ. საქონლის სადგურში
იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები
ზაკავკ. საოლქო კომიტეტისა.
მსურველს შეუძლია მიმართოს
ხაშა ჩიჯოვიძეს.

ექიმი ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულს და საშარდავი (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპ. № 116, სახლ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისში
ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე
იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: [illegible] ქუჩა № 67; [illegible] ხაზ. შენობის პირდაპირ, ხაზ. [illegible] № 5—77.

ჯარის-კაცი
იაკობ პეხუს ძე მებონია
[illegible] 281 [illegible] პოლკის 11 როტაში, 1 ზვოდში, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ ვსთხოვთ შეატყობინონ შემდეგი ადრესით: с. Кирцхи (Зуг. уѣз.) Соломону Изорія.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ
ერთობა-ზე.
გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში
ერთი თვით 2 მ. ნ. 60 კაპ., ცალკე ნომერი 12 კაპ.
გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადოს, ნისიათ არავის გაეგზავნება.
ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199.
თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

16 ივლისიდგან თფ. გამოდის ქართულ ენაზე ყოველ-კვირეული ჟურნალი
სოფლის მუშა
ჟურნალის გამოწერა, ფული და მასალა მიიღება შემდეგი მისამართით: თფილისი. სახალხო სახლი, სპარტაკის დარბაზი, იოსებ გიორგის ძე ირემაშვილს. გამოსაწერი ფასი წლით 10 მან. ნახევარი წლით—5 მ. ნ., 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ
БОРЬБА
Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.
Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба" (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.
Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба».
Подписная цѣна до конца года 9 р., 3 м. 5 р. 50 к., 1 мѣс. 2 р.

სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.